# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 მარტი 2007 №63 (2986) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტოპმიოლერმა დაცვა გააძლიერა





კლაუს ტოპმიოლერმა ვარჯიში დახურა, ალექს მაკლიში კი ქვეყანას დაენახვა



ბექა გოცირიძე და ქართველები მეორე ტაიმში გატყდნენ

## გააცუდებ და გაგაცუდებენ



დავით თავართქილაძე
გლაზგოდან

გუშინ საქართველოს ნაკრებმა გლაზგოში მეორედ ივარჯიშა — კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი „რეინჯერსის“ ბაზაზე წაიყვანა.

აიბროქსელების ბაზას გაძლიერებული დაცვა ჰყავს და იქ შესვლა ალბათ ჟურნალისტებსაც გაგვიჭირდება.

მოკლედ, ნაკრები დღესაც „რეინჯერსის“ სტუმარი იქნება მიუხედავად იმისა, რომ გლაზგოში წვიმიანი ამინდია — გამუდმებით ცრის.

დილით, „რეინჯერსის“ ბაზაზე წასვლამდე ტოპმიოლერმა გუნდი სასტუმრო „მენზისში“ შეკრიბა და თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა, თუმც ეს უფრო ფსიქოლოგიური მეცადინეობა იყო — არ გვყავს კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ჯაბა კანკავა, ოთარ ხიზანეიშვილი და ამან არ უნდა დაგვრთგუნოსო.

ფეხბურთელები „ჩაფართა“ ბაზით ძალიან კმაყოფილები დარჩნენ, ყველაფერი იდეალური იყოო. განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში მოთამაშე ლეგიონერები არიან აღფრთოვანებულნი იქაური პირობებით.

ნაკრების სამწვრთნელო შტაბშია ზაურ სვანაძეც, მას ნაკრების ფორმა კი აცვია, თუმც გვითხრა, უფრო სტაჟირებაზე ვარ, ტოპმიოლერისგან რაღაც-რაღაცებს ვსწავლობო.

ტოპმიოლერთან სასწავლებლად ჩამოვიდა რუსთავის „ოლიმპის“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი მწვრთნელი ზაზა ზამთარაძე. ნაკრებთანაა ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძეც — სწორედ მის ხელში ჰქონდა საქართველოს საუკეთესო შედეგი — მესამე ადგილი 1996 წლის ევროშესარჩევში.

ჩივაძე, ცხადია, ოფიციალური სტატუსით არ იმყოფება ნაკრებთან, თუმცა მისი აქ ყოფნა დადებით მუხტს შემატებს გუნდს — მისი თავკაცობით ხომ საქართველომ ერთხელ უკვე მოიგო ბრიტანეთში უელსთან და იქნებ ჩივაძის გლაზგოში ჩამოსვლა ფეხბედნიერი გამოდგეს ჩვენებისთვის.

მაშინ, როცა საქართველოს ეროვნული გუნდი გლაზგოშია და შოტლანდიასთან მატჩისთვის ემზადება, ჩვენი 19-წლამდელები გუშინ გერმანელ თანატოლებს გაეჯიბრნენ. მატჩი ამხანაგური იყო, გერმანიის ქალაქ ბადემსში შედგა და მასპინძლებმა 2:0 მოიგეს.

გერმანელთა პირველი გოლი „შალკეს“ ნახევარმცველმა მესუტ იოზილმა 63-ე წუთზე გაიტანა, მატჩის ბოლოსკენ კი მანუელ შმიდებახმა გერმანელები უფრო დააწინაურა. პირველ, უგოლო ტაიმში ჩვენს ჭაბუკებს გოლის გატანის სამი ნაღდი შანსი გაუცუდდათ — ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა ორჯერ მიზანი ვერ გაისწორა, ხოლო ბექა გოცირიძის დარტყმული მასპინძელთა მეკარემ მოიგერია.

ჰაინც ტოპმიოლერმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: თევდორაძე (მაკარიძე 46), თომაშვილი, გვაძაბია, მჭედლიშვილი (კვასხვაძე 80), სანაია (ნიკოლაიშვილი 80), ბენაშვილი, ბჟალავა, ხიდეშელი (ფანცხავა 80), გოცირიძე (თარგამაძე 46), ყენია, წინამძღვრიშვილი.

მომდევნო მატჩს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები კვირას ერთ-ერთ ლუქსემბურგულ გუნდთან გამართავს, ხოლო ოთხშაბათს ლუქსემბურგის 18-წლამდელებს შეხვდება.

ჩვენები ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ელიტ-რაუნდისთვის ემზადებიან. ეს ტურნირი შოტლანდიაში მაისში გაიმართება, საქართველოს მეტოქეები კი მასპინძელთა გარდა თურქეთი და პორტუგალია იქნებიან.

ევროპის ერთა თასი. 24 მარტი.15 საათი. თბილისი. ეროვნული

## საქართველო VS რუსეთი



მალხაზ ჭეიშვილი კლოდ სორელს მისივე დანატოვარით დაუხვდება



## სორელმა კი იცის საქართველო, მაგრამ საქართველომაც იცის სორელი


1 აპრილიდან კომპანია „ქართული ჩოგბურთი“ აცხადებს ბავშვთა მიღებას 6 წლის ასაკიდან. იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში თქვენ სპორტის ამ სახეობის ანბანთან გაცნობაში პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგეხმარებიან. ადგილები შეზღუდულია. ჯგუფების დაკომპლექტება 31 მარტამდე. მისამართი: ლუბლიანას 18 ტელ: 54 00 77; 54 00 39

# ალექს მაკლიშმა უეფასთან აღიარა: მე ეროვნულ მახეში გავები



**სამწვრთნელო** საქმესთან ალექს მაკლიშის დაბრუნება ისე არ მოხდა, როგორც თვითონ ელოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მზადაა, ეროვნულ ნაკრებში თავისი პროფესიონალიზმი დაამტკიცოს. 48 წლის შოტლანდიელი გლაზგოს „რეინჯერსიდან" შარშან ზაფხულს წავიდა, რადგან ინგლისის პრემიერლიგაში ან ევროპის სხვა ლიგაში საკუთარი თავის გამოცდა უნდოდა. „რეინჯერსში" მისი შემცვლელი პოლ ლე გუენი ამ ზამთარს მოხსნეს და მის ნაცვლად შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი უოლტერ სმიტი დანიშნეს, რომელმაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, „რეინჯერსის" თავკაცობა მინდა, ნაკრები მომწყინდაო. შედეგად, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ ეროვნული გუნდის მწვრთნელობა უმუშევარ ალექს მაკლიშს შესთავაზა და ასეთ წინადადებაზე უარის თქმა შეუძლებელი იყო.

„რეინჯერსიდან" წასვლის შემდეგ ბევრი შემოთავაზება მქონდა, მათ შორის უცხოური ნაკრებებიდან, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ უარს ვიტყოდი, რადგან კლუბში მუშაობა მსურდა — თქვა მაკლიშმა uefa.com-თან საუბარში — ამის შემდეგ შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია დამიკავშირდა დამიჰ ... 

ვხვდი, რომ მახეში ვიყავი. ასეთ წინადადებაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა. თანამედროვე ფეხბურთის განვითარების ტენდენციები კარგად ვიცი. ჩემსავით ახალგაზრდები, რობერტო დონადონი, მარკო ვან ბასტენი და იურგენ კლინსმანი ხომ თავკაცობენ და თავკაცობდნენ ნაკრებებს. თან ეროვნული გუნდის მწვრთნელობას იმიტომ დავთანხმდი, რომ ამ საქმით ბევრ ახალს ისწავლის კაცი. უეჭველია, ძალიან დიდ გამოცდილებას მივიღებ. ვიმედოვნებ, უფრო მაღალი კლასის სპეციალისტი გავხდები და ერთი საფეხურით ავმაღლდები".

ალექს მაკლიშმა მაშინ ჩაიბარა შოტლანდია, როცა უოლტერ სმიტის ხელქვეით გუნდმა ფიფას რეიტინგში დიდი ნახტომი გააკეთა. ამჟამად სქოთები მე-16 ადგილზე არიან, რაც მათ ისტორიაში საუკეთესო შედეგია. მეტიც, საქართველოსთან და იტალიასთან ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩებამდე შოტლანდია ჯგუფის ლიდერია. კარგი თამაშით და შედეგით სქოთებმა ქომაგებს იმედი გაუღვივეს, რომ ათწლიანი შესვენების შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე მოხვდებიან. თუმცა ალექს მაკლიში გულშემატკივრებს სთხოვს, დროზე ადრე ეიფორიაში ნუ ჩავარდებიან. „ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია — განაცხადა მწვრთნელმა — ბოლოს და ბოლოს, ნაკრებში გაჩნდა გუნდური სული და კარგი განწყობა, რაც ბოლო მატჩებში სტაბილურად კარგი თამაშის შედეგია. ძალიან მინდა, რომ ასე გაგრძელდეს. ხოლო ჯგუფში ლიდერობაზე შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ ვისაუბროთ".

მაკლიშმა კარგად იცის, თუ რაოდენ რთულია ფინალურ ეტაპზე გასვლა, რადგან სანაკრებო დონეზე 77 მატჩში უთამაშია. მის კარიერაში, 80-იან და 90-იან წლებში, შოტლანდიის ნაკრები ზედიზედ ხუთჯერ გავიდა ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ალექს მაკლიში თვლის, რომ იგივე შედეგის გასამეორებლად რაც შეიძლება მეტმა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს ბრიტანეთის ბობოლა კლუბებში. „ადრე ბევრი შოტლანდიელი თამაშობდა ინგლისის საუკეთესო გუნდებში. სამწუხაროდ, ახლა ასე არაა" — აღნიშნა მაკლიშმა, „აბერდინის" ყოფილმა მცველმა, ვისაც 1983-ში თასების მფლობელთა თასი მოუგია.

„არცთუ ცუდი ნაკრები გვყავს, რომელშიც დარენ ფლეტჩერი, ჯეიმს მაკფადენი, ლი მაკკალოხი და შონ მელოუნი თამაშობენ. შედარებისთვის, ადრე ნაკრებში იყვნენ კენი დალგლიში და გრემ სუნესი „ლივერპულიდან", ჯო ჯორდანი „მანჩესტერიდან" და ჯო რობერტსონი „ნოტინგემიდან". ისინი ძლიერ კლუბებში იყვნენ. რაც შეეხებათ ჩემი გუნდის ფეხბურთელებს, ბოლო წლებში საგრძნობ პროგრესს მიაღწიეს" — თქვა მაკლიშმა.

იმ რვა თვის განმავლობაში, რაც „რეინჯერსიდან" წასულმა მაკლიშმა დაისვენა, ალექს ფერგიუსონს და ჟერარ ულიეს შეხვდა. „რეინჯერსიდან" პოლ ლე გუენის გაშვებამ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ჩაფრებში" უოლტერ სმიტის დანიშვნა და შოტლანდიის ნაკრებში მაკლიშის მისვლა გამოიწვია. „როცა პოლ ლე გუენი გლაზგოში ჩამოვიდა, მაშინვე მივხვდი, რომ ერთი კაცი ვითარებას ვერ გამოასწორებდა. ჩემთვის სულ ერთი იყო, ვინ გახდებოდა „რეინჯერსის" მწვრთნელი. არ არსებობს კაცი, რომელიც ჩაიბარებს გუნდს და ჯადოქარივით შეცვლის ვითარებას. ვხვდებოდი, რომ თუ ფრანგი შემადგენლობას საგრძნობლად ვერ გააძლიერებდა, დიდი გამოცდა ელოდა. ასეც მოხდა. ლე გუენს ისე შეხვდნენ, თითქოს მან ჩემზე მეტი იცოდა, არადა, დრომ აჩვენა, რომ ცდებოდნენ" — განაცხადა მაკლიშმა, რომელსაც ეროვნულ ნაკრებთან, კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს. „მსურს, რომ მუშაობიდან სიამოვნება მივიღო, რისთვისაც მხოლოდ ერთი რამაა საჭირო — გამარჯვება. თუ ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე გავალთ, ეს ყველაზე დიდი მიღწევა იქნება ჩემს კარიერაში" — ბრძანა შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელმა.

# ფარერები — უკრაინა შეფასებე ჰკიდია

**ევრო 2008-ის** შესარჩევში ჩვენი მეტოქეების, ფარერებისა და უკრაინის 24 მარტის მატჩი ალბათ გადაიდება.

გუშინაც ვწერდით, რომ ფარერის კუნძულებზე იმხელა თოვლია, მატჩს საფრთხე შეექმნა და მხარეებმაც მოლაპარაკება წამოიწყეს უეფასთან და დანარჩენ მეტოქეებთან.

ყველაფერი დათოვლილ კუნძულთ კრებულიდან დაიწყო — ფარერელებმა კიევში ფაქსი აფრინეს, ჩვენს სტადიონზე იმხელა თოვლია, თამაშის ჩატარება შეუძლებელიაო.

თავის მხრივ, უკრაინელებმა, რომელთაც ისედაც არ უნდოდათ მარტში ცივ ჩრდილოეთში სტუმრობა, ხელები მოიფშვნიტეს, ჯერ კიდევ კალენდრის შედგენისას ვამბობდით, ასეთ დროს ფარერებზე სტუმრობა ხელს არ გვაძლევსო.

გავიხსენოთ, რომ ჩვენი ჯგუფის კალენდრის შედგენისას, რომელიც სწორედაც რომ უკრაინელების სიჯიუტის გამო ძალიან გაჯანჯლდა, იტალიამ, საფრანგეთმა და საქართველომ თავისი მაინც გაიტანეს...

გაიტანეს, მაგრამ...

გუშინდელი ცნობებით, უკრაინელებმა შეძლეს იტალიის საქართველოს და ლიტვის ფეხბურთის ფედერაციების დათანხმება, საფრანგეთისგან უარი მიიღეს, შოტლანდიამ კი თავი შეიკავა.

„ჯერ კიდევ როდის ვამბობდით, რომ მარტში ფარერებზე სტუმრობა სისულელე იყო. კარგი იქნება, ეს მატჩი თუ გადაიდება. ჩვენი წარმომადგენელი ახლა ფარერებზეა და იქ არკვევს, რა შანსები გვაქვს ამ მატჩის ჩასატარებლად. თუმცა მე მაინც ზაფხულისთვის გადადების იმედი მაქვს" — განაცხადა უკრაინის ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა.

უკრაინელები წუხელ გვიანობამდე მაინც ელოდნენ დასტურს საფრანგეთ-შოტლანდიისგან...

უეფა კი ამ საკითხს დღეს განიხილავს...

**კახა ზალამბერიძე**

## geo_geo_fan@hotmail.com

**DAVID PKHAKADZE:** კაი გამარჯობა თქვენი! როგორც კი კენჭისყრა გაიმართა, იმ დღიდან ვიძახდი, რომ შოტლანდიას ორივე თამაშს მოვუგებთ.

ისევ ამ აზრზე ვრჩები.

ვიგებთ.

**ZIZI TOP:** გამარჯობათ. ველოდი ამ რუბრიკის აღდგენას და აი, ისიც. ასე აგვხდომოდეს საქართველოს ნაკრების მოგებაც!

ძალიან მჯერა, რომ 24 მარტი ჩვენი დღე იქნება.

მერე რა, რომ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი გვაკლია, მაინც მჯერა, რომ სხვებსაც შეუძლიათ ჩვენი გახარება.

შოტლანდია — საქართველო 1:2. აი, ჩემი პროგნოზი და თუ გამართლდა, ამას რა აჯობებს.

მოგების იმედით გემშვიდობებით, სარბიელელებო.

geo_geo_fan@hotmail.com




## საქართველოს ნაკრების ქომაგთა საყურადღებოდ!

შაბათს, 24 მარტს, საღამოს ექვსის ნახევრიდან გადაიკეტება რესპუბლიკის მოედანი და ქომაგებს საშუალება ექნებათ, დიდ ეკრანზე იხილონ შოტლანდია — საქართველოს დაპირისპირება. ერთად ვუქომაგოთ ჩვენს ნაკრებს! ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

*სფფ-ის პრესცენტრი*

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრები 28 მარტს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ფარერის კუნძულების ნაკრებს უმასპინძლებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბი ამ შეხვედრისთვის ერთობლივ აქციას ატარებენ: ფან-კლუბის წევრებს შეხვედრის უმაღლეს დონეზე ორგანიზებაში მოხალისის რანგში მონაწილეობას სთავაზობენ.

აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ფან-კლუბის წევრებს.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ფან-კლუბს: ტელ — 52-25-42

### ბულგარეთი

უმაღლესი ლიგა. XIX ტური

ბელასიცა 1:2 ლოკომოტივი (ს)
მარეკი 0:1 ვიხრენი
რილსკი 2:1 ლევსკი
როდოპა 1:0 ჩერნომორეცი
სპარტაკი 1:3 ცსკა

### ფინეთი

თასის მეოთხედფინალი

ვაასა 0:1 ლაჰტი
ჰიკ 2:2 (პენ 5:4) ოულუ

### პოლონეთი

ლიგის თასი
V ტური

არკა 0:2 ლეხი

### ინგლისი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი

ჩესტერფილდი 1:1 დონკასტერი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი

ჰალიფაქსი 1:1 ოქსფორდი

### უნგრეთი

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები

დიოშდიორი 2:1 ზალაეგერსეგი
უიპეშტი 0:0 დებრეცენი

### შოტლანდია

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ისტ ფაიფი 1:0 დამბარტონი

# ყველაზე ძლიერი

## ქართველები უფრო ნახევართავდამსხმელები ვართ



ნათქვამია, ნახევარდაცვა გუნდის ხერხემალიაო. ამ ამპლუის ფეხბურთელებს კარის უსაფრთხოებაზეც უხდებათ ზრუნვა და შეტევის ორგანიზებაზეც. მოედნის ცენტრში მოპოვებული უპირატესობა გუნდის გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. დღესდღეობით საქართველოს ნაკრებში ყველაზე დიდი კონკურენცია სწორედ ნახევარდაცვის ხაზშია. რამდენიმე ფეხბურთელს ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს, რამდენიმე კი საამისოდ იბრძვის. როგორია დღევანდელი ნაკრების ნახევარდაცვა და ვინ შეიძლება შეცვალოს ეს ფეხბურთელები წლების შემდეგ, ვინ მოჩანს პერსპექტივაში... ამის თაობაზე ვეტერან ფეხბურთელს, ამჟამად მწვრთნელს, ვახტანგ კოპალეიშვილს ვესაუბრეთ...

— დღესდღეობით ნახევარდაცვა საქართველოს ნაკრების ყველაზე ძლიერ რგოლად მიმაჩნია. თავდასხმაშიც და დაცვაშიც გვყავს რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი, მაგრამ მთლიანობაში ერთიც და მეორეც ისეთი ძლიერი არ არის, როგორიც ნახევარდაცვა. ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი, ჯაბა კანკავა, დავით მუჯირი, ლევან ცქიტიშვილი, გოგიტა გოგუა, დავით კვირკველია, ლადო ბურდული... საკმარისი არ არის ამდენი ნახევარმცველი ერთი გუნდისთვის?! ამ ფეხბურთელებს ევროგრანდებში თუ არა, საშუალო კლუბებში უდავოდ შეუძლიათ გუნდის ლიდერობა. გლაზგოში, შოტლანდიელებთან ნახევარდაცვაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მოედნის ცენტრში ბურთის კონტროლი ყველა მათგანს შეუძლია.

**— მათგან ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?**

— ალბათ კობიაშვილს. ლევანს დიდი გამოცდილება აქვს, თანაც ბუნდესლიგური. ძალიან ძლიერია მალხაზ ასათიანი, ბევრს შრომობს მოედანზე კანკავა, ჭკვიანი ფეხბურთელია მუჯირი, თუმც ცოტა ფიზიკური კონდენციები აკლია.

**— თქვენ ასათიანს უფრო ნახევარმცველად ხედავთ?**

— ასათიანი ჩემ გაწვრთნილ 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშობდა და მისი ყველა სათამაშო ნიუანსი ვიცი. დაცვაში რომ კარგია, თქმა არ უნდა, მაგრამ ის უფრო შემოქმედი ფეხბურთელია, კარგად ეხერხება გატანაც — გაიხსენეთ წინა შესარჩევი ციკლები, რუსეთის ნაკრებით დაწყებული, რამდენი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა ასათიანმა. მას მოედნის ცენტრში უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ვიდრე დაცვაში.

**— საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ნახევარმცველთაგან ვის გამოარჩევდით?**

— არის რამდენიმე კარგი ფეხბურთელი, თუმც ყველაზე გამორჩეულ ფიგურად მაინც დავით დიღმელაშვილი მიმაჩნია. მას თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია, სწორ და გამართულ ფეხბურთს თამაშობს, თან სხვებზე სტაბილურია.

**— ბევრს ლაპარაკობენ ლევან ყენიას მომავალზე...**

— პერსპექტივაში მართლაც კარგი მომავალი აქვს. უნიჭიერესი ფეხბურთელია, კარგად შეუძლია თამაშის წაკითხვა. მისი ერთადერთი ნაკლი ამჟამად ფიზიკური კონდიციებია, თუმც ასაკთან ერთად ალბათ ესეც მოემატება. ახლა მთავარია, ყენიას ზრდას სწორი მიმართულება მიეცეს და მარტო მისი ერთი ნაკლის აღმოფხვრაზე არ ვიფიქროთ. თუ მარტო მისი ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე გამახვილდა ყურადღება, შესაძლოა, მისი ზრდა შევაფერხოთ.

**— სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში მოთამაშე ფეხბურთელთაგან ვის შეუძლია, მომავალში კონკურენცია გაუწიოს ეროვნული გუნდის ნახევარმცველებს?**

— არის რამდენიმე კარგი ფეხბურთელი, ალექსი ბენაშვილი, ბექა ძლენტი, გიორგი განუგრავა, მირზა ბჟალავა, დავით თარგამაძე... ძალიან ნიჭიერი მოთამაშეები არიან და ეს დაამტკიცეს კიდეც. ელიტრაუნდში გუნდი შემთხვევით არ ხვდება, მართლა ძლიერი უნდა იყო, რომ ეს შეძლო. ჩემი მწვრთნელობის დროსაც მოხვდა საქართველოს ნაკრები ფინალურ ეტაპზე. მაშინ ჩემს გუნდში ასათიანი, ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი თამაშობდნენ. ისინი მაღალი კლასის ფეხბურთელები დადგნენ და მაღალი დონის გუნდებშიც თამაშობენ. იმედია, ეს თაობაც დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**— თქვენი აზრით, ქართველ ნახევარმცველებს რა უფრო ემარჯვებათ, შექმნა თუ ჩაშლა?**

— ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე, შექმნა უფრო ეხერხებათ, მაგრამ გვყავს დაცვითი ფუნქციის შემსრულებელი ნახევარმცველებიც. კანკავა თითქოს შეუმჩნეველია მოედანზე, მაგრამ დიდ სამუშაოს ასრულებს, ზედმეტად ხისტია, თუმც ასაკთან ერთად ამასაც ეშველება. ზურაბ მენთეშაშვილი ძალიან კარგია ბურთისართმევაში, ასევე კობიაშვილი, გოგუა...



**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ამერის აზერული ნონ-სტოპი

**მესამე** დღეა, თბილისის „ამერი“ ეროვნული ჩემპიონატის განახლებისა და თასის ნახევარფინალისთვის ბაქოში ემზადება. თბილისელებმა სანაკრებო დღეებით ჩამომდგარი ორკვირიანი უქმობა სამეზობლოში ვარჯიშთამაშით შეივსეს.

„ამერი“ კასპიის ზღვისპირა სასტუმრო „აფშერონში“ დაბინავდა და ბაქოს „ინტერის“ სტადიონზე ყოველდღე ვარჯიშობს. აზერბაიჯანულ შეკრებაზე გიორგი ჩიხრაძემ 20 ფეხბურთელი წაიყვანა. ბესიკ ჩიმაკაძე და გიორგი ელბაქიძე ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად თურქულ შეკრებაზე, ხოლო გიორგი ნიკოლაიშვილი, დავით მჭედლიშვილი, რატი წინამძღვრიშვილი და ზურაბ გვაძაბია 19-წლამდელთა გუნდში არიან მიწვეულნი და გერმანიაში იმყოფებიან.

თბილისელებს ბაქოში ორი ამხანაგური მატჩიც აქვთ დაგეგმილი. „ყვითლები“ დღეს აზერბაიჯანის პირველი ლიგის ლიდერ „სტანდარტს“ შეხვდებიან, 25-ში კი „ბაქის“, სადაც ამირან მუჯირი, გიორგი მეგრელაძე და ალეკო გოგობერიშვილი თამაშობენ. გუშინ ამერელები სასტუმროში „ნეფთჩისა“ და აზერბაიჯანის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა გიორგი ადამიამ მოიკითხა.

„ამერის“ აზერბაიჯანული შეკრებიდან ერთი სიახლე ისიცაა, რომ სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლეს ბოლო ხანს ტრავმირებულებმა, დავით ბოლქვაძემ, გიორგი დეკანოსიძემ, გიზო ჯელაძემ და გივი დიდავამ.

**კობა ინასარიძე**

# თემურ მახარაძეს შავი კატა არ დაუნახავს

ჩემპიონობაც და თასიც — ასეთი მიზანი დაუსახავს წლეულს „ზესტაფონს“. იმერლებმა ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ სენსაციური გასეირნება მოიწყვეს, ვეტერინარებს შინ ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს. სწორედ ამ მატჩით დავიწყეთ საუბარი „ზესტაფონის“ მწვრთნელ თემურ მახარაძესთან...

— „ვიტ ჯორჯია“ ძალიან სიმპათიური და კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენთან თამაში არ წაუვიდათ. ჩემს ფეხბურთელებს რა დავალებაც მივეცი, ყველაფერი ზედმიწევნით შეასრულეს, რაც შედეგშიც აისახა.

**— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევთ?**

— რუსთავის „ოლიმპს“, მაგრამ არც „ამერი“ და „დინამო“ უნდა დავივიწყოთ. ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ დიდი დროა და ბევრი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს.

**— სხვა გუნდებისგან „ზესტაფონი“ რით გამოირჩევა?**

— ზესტაფონში საფეხბურთო ბუმია. ძალიან კარგი გულშემატკივრები გვყავს, რაც მთავარია, საკმაოდ შეთამაშებული და გამოცდილი გუნდია.

**— ამბობენ, მახარაძესა და იონანიძეს შორის შავმა კატამ გაირბინაო...**

— არ ვიცი, ვინ რას ამბობს. მე და ზურა მეგობრები ვართ და ჩვენ შორის არანაირი დაპირისპირება არ არსებობს. ზოგჯერ ფეხბურთელი არ არის სათანადო ფორმაში და იონანიძის შემთხვევაშიც ასეა, მაგრამ მჯერა, მალე აღიდგენს ფორმას და ძველებურად ათამაშდება.

**— საქართველოს თასის ნახევარფინალში წილისყრამ „ბათუმი“ გარგუნათ. ბათუმელთა მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ თქვა, „ზესტაფონს“ ჩვენზე მეტი შანსი აქვს ფინალში გასასვლელადო. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— ნახევარფინალში სუსტი გუნდები ვერ გადიან. ბათუმლებმა ბოლო შეხვედრებში დაამტკიცეს თავიანთი ძალა. სტუმრად „ამერთან“ და „სიონთან“ ოთხი ქულის აღება ადვილი არ არის. ასე რომ, საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავს და შანსებიც თანაბარი გვაქვს.

**ნუკრი ლოლაძე**



თემურ მახარაძე: მე და იონანიძე მეგობრები ვართ...

# ინგლისელ სერთა ფაქ-იზი ალზრდა-განათლების ამბავი






## უპრეცედენტო ინტერვიუ ალექს ფერგიუსონთან. ჩაიწერა... თუმცა ჩამწერის მეტი რა იყო...

**ქვემოთ** გინება რომ დავწეროთ, ძალიან გაგვიბრაზდებით? თან გარწმუნებთ, ტყუილ-უბრალოდ არ გავილანძღებით. მეტიც, რასაც დავწერთ, ინგლისური პრესიდან იქნება გადმოწერილი, თუმცა კარგად გვესმის, რომ ის, რაც შეიძლება, უცხოელმა იკადროს, ზრდილ ქართველს არ ეკადრება...

და მაინც, ვფიქრობთ, სასეირო თუ სენსაციური ამბავი გაზეთის ფურცლებს არ უნდა ასცდეს: „მანჩესტერის" მწვრთნელის, მისი უდიდებულესობის რაინდის, სერ ალექს ფერგიუსონის ბილწსიტყვაობაზე მოგახსენებთ. სერ ალექსმა „სკაი სპორტის" ჟურნალისტ ჯეფ შრივესს „ნახმარი ნაბიჭვარი" უწოდა და „ფაქ ოფ"-ო, ზედ დაუყოლა.

მიზეზი? მისტერ შრივესმა „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „მიდლსბროს" სათასო მატჩის შემდეგ („იუნაიტედმა" 1:0 მოიგო) მანჩესტერელთა მწვრთნელის ახალ გმირსა და ვარსკვლავს კრიშტიანუ რონალდუს მეტოქის კარში დანიშნულ პენალტზე, უფრო სწორად კი, მის ყალბ წაქცევაზე ჰკითხა, ფეხბურთელთან ინტერვიუს შემდეგ კი ფერგიუსონთანაც მივიდა მატჩისშემდგომი სავალდებულო კითხვა-პასუხისთვის.

მართალია, სერ ალექსისა და ჟურნალისტის ლანძღვა-გინება კამერებს მიღმა იყო, მაგრამ ისეთი ხმამაღალი გამოდგა, რომ მოშორებით BBC-მ „მიდლსბროს" თავკაც გარეთ საუთგეიტთან ინტერვიუ ვეღარ ჩაწერა.

გთავაზობთ აყალმაყალის ქართულ თარგმანს — ამდენი ჟურნალისტით და ტექნიკით დახუნძლულ შენობაში ტექსტის ჩაწერა, იოლი მისახვედრია, არ გაჭირდებოდა...

შრივესი: მე მას ვკითხე...

ფერგიუსონი: ნახმარო ნაბიჭვარო!

შრივესი: ასეთ სიტყვებს ნუ მეუბნებით!

ფერგიუსონი: ფაქ ოფ!

შრივესი: ასეთ სიტყვებს ნუ მეუბნებით. როგორ ბედავთ?!

ფერგიუსონი: როგორ ბედავო?! ფაქ ოფ აქედან!

შრივესი: მისმინეთ, აპირებთ პროფესიული ინტერვიუს მოცემას თუ არა? გინდათ თუ არა?

ფერგიუსონი: შენ ფაქინგ პროფესიონალი ხარ, ხო? ეს შენ ხარ პროფესიონალი, ხო? შენ ხარ ერთადერთი...

შრივესი: ჩემი საქმე კითხვების დასმაა, კრიშტიანუმ კი დალაგებული პასუხები გამცა.

ფერგიუსონი: ფაქინგ ჯოჯოხეთი იყოს თქვენს პასუხებთან!

შრივესი: ნუ ბედავთ ჩემთან ასე ლაპარაკს. წადით, მომშორდით! თუ ცივილიზებულად გინდათ მოქცევა, კი ბატონო, თუ არა და, წადით და ასე ნუ მელაპარაკებით!

ფერგიუსონი: ფაქ ოფ!

ისმის კარის გაჯახუნება...

**ბაბუნა ძიდია**

# მთავარი როლით დაგაზული გაზა



## პოლ გესქოინმა ბოთლით ვარჯიშს თავი დაანება

**ინგლისური** ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა პოლ გესქოინი გამოსწორების გზაზეა.

ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით თუ ათასი სკანდალით სახელგანთქმული გაზა სრულ ჯანზეა და თურმე თავდაუზოგავად ვარჯიშობს.

არა, გესქოინი ფეხბურთში არ ბრუნდება. გეხსომებათ, მას ფანტასტიკური ჟანრის ფილმში იღებენ და გაზაც ფორმაში უნდა იყოს.

სცენარით, გიჟმაჟმა ინგლისელმა კაცობრიობა უცხოპლანეტელთა შემოსევისგან უნდა იხსნას — გადაღებები ივნისში იწყება.

ფილმის სპონსორებმა გაზას ფიზმომზადების მწვრთნელი უქირავეს და ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის.

ვნახოთ, წაუცდება თუ არა გესქოინს ხელი ბოთლისკენ...

**ძახა შალამბერიძე**

## 9 მაისს სტემფორდ ბრიჯზე

**„ჩელსისა"** და „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩი, რომელიც 15 აპრილს „სტემფორდ ბრიჯზე" უნდა გამართულიყო, 9 მაისისთვის გადაიტანეს. მიზეზი: ეს გუნდები ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალში მოხვდნენ. „მანჩესტერი" „უოტფორდს" ბირმინგემში 14 აპრილს შეხვდება, ხოლო „ჩელსი" — „ბლექბერნის" თამაში 15 აპრილს „ოლდ ტრაფორდზე" გაიმართება.

## კარვალიუს მილანური მომავალი

**ლონდონის** „ჩელსის" პორტუგალიელი მცველი რიკარდუ კარვალიუ, შესაძლოა, „მილანში" გადავიდეს. „კონტრიკამპოს" ცნობით, კარვალიუს ფასი დაახლოებით 23 მილიონი ევროა და მას გუნდის გამოცვლა სურს.

## ნადირობა ჰავარდზე

**„მანჩესტერი"** და „არსენალი" ნორვეგიელ ჰავარდ ნორდტვეიტზე „ნადირობენ". „დეილი მირორის" აზრით, 16 წლის ფეხბურთელის „არსენალში" მოხვედრის შანსი გაცილებით მეტია, რადგან არსენ ვენგერის გუნდში ახალგაზრდები მალევე ხვდებიან ძირითად შემადგენლობაში.

## დროგბას პატარა ძმა

**დიდიე დროგბას** უმცროს ძმას, „მეცის" ფორვარდ ჟოელ დროგბას ინგლისურ „ლეიტონში" გადასვლის ვარიანტი გამოუჩნდა — ამტკიცებს „თაიმსი".

24 წლის თავდამსხმელის ყიდვა შარშან „ქუინზ პარკს", „ზანკტ პაულს" და „ჰანოვერს" სურდათ, თუმც გარიგება არ გამოვიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აქა მშვიდობა? ორშაბათი მძიმე დღეა






ელექტრონული ბიბლიოთეკა

**რომან აბრამოვიჩი** ყაბულსაა, ქოზე მაურინიუს მშვიდობა ჩამოუგდოს — „ჩელსის“ რუსი მეპატრონე და მისი პორტუგალიელი მწვრთნელი შობის დღესასწაულის შემდეგ არ დალაპარაკებიან ერთმანეთს.

ლონდონელთა აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ეს ორი გამორჩეული პიროვნება ერთმანეთის პირისპირ დაესვა და მათ შორის უთანხმოებები მოეგვარებინა.

კინიონის გეგმის პირველი ნახევარი, როგორც ჩანს, მალე მოგვარდება — ცნობილი გახდა, რომ აბრამოვიჩი მაურინიუს 26 მარტს, ანუ მომავალ ორშაბათს შეხვდება.

და სად შეხვდებიან დიადნი ერთმანეთს? სავარაუდოდ, მონაკოში, აბრამოვიჩის ერთ-ერთ იახტაზე.

ცნობისთვის: მაურინიუმ პრეზიდენტთან დალაპარაკება ჯერ კიდევ ხუთი კვირის წინ ისურვა, მაგრამ მილიარდერს არ ეცალა, ცოლს ეყრებოდა.

ცოლთან გაყრის გამო იყო თუ მაურინიუსთან ცუდი ურთიერთობისა, ვერ გეტყვით, მაგრამ „ჩელსიმ“ „კარლინგის თასი“ რომ მოიგო, აბრამოვიჩი მაშინაც უჩვეულოდ მოიქცა — გამარჯვება გუნდთან ერთად არ უზეიმია. ორშაბათსაც, როდესაც ლონდონელებმა „ტოტენჰემ ჰოთსპური“ დაამარცხეს და ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში გავიდნენ, რუსი ოლიგარქი თავის ბიჭებთან ერთად არ გახლდათ, მოსკოვში ბრძანდებოდა. ამ ყველაფერზე კი ამხელა ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ადრე აბრამოვიჩი „ჩელსის“ გასახდელის ხშირი სტუმარი იყო.

კინიონი დარწმუნებულია, რომ მაურინიუ და აბრამოვიჩი საერთო ენას გამონახავენ. კლუბის აღმასრულებელი შეფის თქმით, თუ ეს შეხვედრა უახლოეს 10 დღეში არ შედგება, ფეხბურთელებს სეზონის ყველაზე გადამწყვეტ პერიოდში ბუნდოვანი მომავლით მოუწევთ შესვლა, რაც ძალიან ცუდი იქნება...

**ბაჩუნა ძიდია**

# მზვერავი სქოულზი, რომელსაც გაჩერებული ბურთის ეშინია




— „მანჩესტერი“ ალბათ ჩემპიონი გახდება. მწვრთნელმა ან ფეხბურთელებმა თუ დაითვალეს, რამდენი ქულაა საჭირო ამისთვის?

— ამას წინასწარ ვერასდროს გამოიცნობ, ამიტომ დათვლა უაზრობაა. ჩვენ ხომ არ ვიცით, რას იზამს „ჩელსი“. „მანჩესტერი“ ცდილობს, ყოველ მატჩში ლამაზად ითამაშოს, ბევრი გოლი გაიტანოს და მოიგოს. ასეთია მწვრთნელის დავალება და მეც მუდამ ასე მიმაჩნდა. წინასწარ ვერ დაისახავ მიზნად, რომ განსაზღვრული რაოდენობის ქულები მოაგროვო. ამბობენ, თითქოს 90-ზე მეტი გვჭირდება. შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ მთავარი მოგებაა და ქულებიც მოვა.

— ალექს ფერგიუსონი ხშირად ცვლის შემადგენლობას. როგორ აისახება ეს გუნდზე სეზონის ბოლოს?

— როტაცია აუცილებელია. საჭიროა, რომ თითოეულ ფეხბურთელს მიეცეს დასვენების საშუალება. როცა დასვენებული გადიხარ მოედანზე, უკეთესად თამაშობ. ცხადია, ყველას უნდა, მუდამ ძირითად შემადგენლობაში იყოს, მაგრამ მწვრთნელმა უკეთ იცის, რა და როგორ გააკეთოს. ჩვენ გვყავს ისეთი სათადარიგოები, რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეძლებენ ტრავმირებული თუ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების სრულფასოვნად შეცვლას.

— პრემიერლიგის მოგება მთავარი მიზანია?

— ამ სეზონში სწორედაც რომ მთავარია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ვერაფერი მოვიგეთ და გამარჯვებას მოწყურებულნი ვართ. ჩემპიონთა ლიგის და ასოციაციის თასის მოგებაც გვსურს, მაგრამ ასარჩევად რომ იყოს საქმე, პრემიერლიგას ავირჩევდი. მგონი, ჩემი თანაგუნდელებიც ამას ფიქრობენ.

— რით განსხვავდება ეს გუნდი ოთხი წლის წინანდელისგან?

— რიცხვები ყველაფერზე მეტყველებენ. ნახეთ ქულების რაოდენობა, ბურთების სხვაობა და თავად დარწმუნდებით, რომ ახლანდელი „მანჩესტერი“ ძალიან კარგად უტევს და თავსაც კარგად იცავს. გუნდი შესანიშნავადაა დაბალანსებული. ეს ყველაზე მთავარია და ამ მხრივ დღევანდელი „მანჩესტერი“ იმ ძველს წააგავს, რომელშიც ვთამაშობდი და ჯილდოებს ვიგებდი.

— „ჩელსის“ ბოლო ტურებში ესტუმრებით. იმ დროისთვის უკვე ჩემპიონები იქნებით თუ...

— თქვენ ალბათ გინდათ, რომ ეს ბოლოსთვის გადაიდოს. ვიცით, რომ გრძელი და რთული გზა გვაქვს გასავლელი. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, „ჩელსის“ აპრილში შევხვდებით თუ მაისში. რომელ ადგილზეც არ უნდა ვიყოთ, „სტემფორდ ბრიჯზე“ თავაწეულები ვითამაშებთ. სტუმრად „ჩელსის“ დამარცხებით დავამტკიცებთ, რომ ჩემპიონობას ვიმსახურებთ.

— მაიკლ კარიკის თამაშს როგორ შეაფასებთ? ის ხომ როი კინისგან ძალიან განსხვავდება...

— ფანტასტიკურია. მისი შეძენა სწორი ნაბიჯი იყო და კარიკის კარგმა თამაშმა დიდად განაპირობა სამსეზონო წარმატება. დიდებული პასები აქვს და ბურთის ართმევაშიც შეუდარებელია. ჩვენ მალე გავუგეთ ერთმანეთს და ვიმედოვნებ, კიდევ დიდხანს დარჩება „მანჩესტერში“. რაც შეეხება როი კინთან შედარებას, კარიკს ვერავის შევადარებ, ამაზე არ მიფიქრია. მთავარია, მის გვერდით თავს კომფორტულად ვგრძნობ, ფუნქციებიც თითქმის ერთნაირი გვაქვს. მე უფრო ხშირად ვერთვები შეტევებში, ის კი დაცვაში რჩება.

— საკუთარი თავით კმაყოფილი ხართ?

— მთლად არა, უკეთაც შემიძლია თამაში. მინდა, მეტი გავიტანო და მეტად დავეხმარო გუნდს. ალბათ სეზონის ბოლოს უფრო მოვუმატებ.

— ასეთი ძლიერი დარტყმის პატრონი რატომ არ ასრულებთ ხშირად საჯარიმოებს?

— ეს საქმე ცუდად გამომდის და იმიტომ. უფრო სწორად, საერთოდ არ მეხერხება. გაჩერებულ ბურთს კარგად ვერ ვურტყამ, გაგორებული ან ზემოდან დაშვებული მირჩევნია. საჯარიმოებს ჩემზე უკეთ გიგზი და რონალდუ ასრულებენ.

— ასაკის მატებასთან ერთად რამე შეიცვალა თქვენს თამაშში?

— განსაკუთრებული არაფერი შემიცვლია. ერთი კია, ისე ხშირად ველარ ვერთვები შეტევაში, როგორც ადრე, რადგან უკან დაბრუნებისას ვიღლები. წინ და უკან ძველებურად სირბილი აღარ შემიძლია.

— და რომ შეგეძლოთ, რას გააუმჯობესებდით?

— დაცვაში თამაშს. განსაკუთრებით ვარდნაში ბურთის ართმევა არ გამომდის.

— მართალია, ხშირად უხეშობთ...

— ცენტრალური ნახევარმცველის კვალობაზე არცთუ ხშირად ვიღებ წითელ-ყვითელ ბარათებს. ხანდახან უხეშობას მაბრალებენ, მაგრამ ეს განგებ არასოდეს გამიკეთებია.

— და მსაჯები ამას ხვდებიან?

— უმეტეს შემთხვევაში, კი. ყოფილა მატჩები, როცა მეხუთე წუთზევე მიმიღია ყვითელი და შემდეგ იძულებული გავმხდარვარ, ფრთხილად მეთამაშა. ზოგადად მსაჯებთან კი პრობლემები არ მაქვს.

— შარშან თვალის ოპერაციის გამო ბევრი გაგიცდათ და გაიგეთ, როგორია უფეხბურთოდ ცხოვრება. თუ გიფიქრიათ კარიერის დასრულების შემდგომ საქმიანობაზე?

— დავასრულებ და მერე ვიფიქრებ. ახლა ვთამაშობ და საზრუნავი ისედაც არ მაკლია.

— შარშანვე, როცა „თამაშგარეთ“ იყავით, სხვადასხვა სტადიონებზე გნახეს. ფერგიუსონმა მისთვის სასურველი ფეხბურთელების დაზვერვა დაგავალათ?

— მწვრთნელს უნდოდა, უფეხბურთოდ არ მომეწყინა და რამდენჯერმე მთხოვა ამა თუ იმ მატჩზე დასწრება. მეც უსაქმოდ ვიყავი და სიამოვნებით დავთანხმდი.

— კიდევ რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?

— სანამ მსიამოვნებს, ვითამაშებ.

# არამიწიერი საოცრების მიწიერი ფასი: 80 მილიონი



**კრიშტიანუ რონალდუს აგენტები ინგლისში წითლები არიან, ესპანეთში თეთრები**

**კრიშტიანუ რონალდუ** „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტის განახლების თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს, თუმცა ამის პარალელურად ფეხბურთელის აგენტები მადრიდის „რეალის“ ემისრებს საიდუმლოდ ხვდებიან და ცდილობენ, სამხრეთელი, რაც შეიძლება, მალე გადაიყვანონ „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

ერთი სიტყვით, პორტუგალიელმა ორმაგი თამაში წამოიწყო.

ალბიონური კლუბის სასარგებლოდ ის მოქმედებს, რომ ფეხბურთელის კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში უცხო გუნდის მიერ გადასახდელი თანხის წინასწარ დადგენის წესი ინგლისში არ არსებობს. ანუ, თუ კრიშტიანუ რონალდუმ კონტრაქტი არ გაახანგრძლივა, „მანჩესტერს“ ნებისმიერ დროს შეუძლია, ისეთი თანხა დააზეთქოს, რომ პორტუგალიელის ყიდვით დაინტერესებული სამეფო თეთრები სახტად დატოვოს.

მადრიდული „ასის“ ვარაუდით, ეს თანხა 80 მილიონი ევროა. თუმცა „სანტიაგო ბერნაბეუს“ ბოსები იმდენად არიან ფანტასტიკურ პორტუგალიელზე შეყვარებულნი, ამ თანხის გადახდას არ დაიზარებენ. ეს კი უკვე სატრანსფერო რეკორდია — მას შემდეგ, რაც 2001 წლის ზაფხულში „რეალის“ ექსპრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ტურინის „იუვენტუსიდან“ ზინედინ ზიდანი 75 მილიონ ევროდ იყიდა, სატრანსფერო სარბიელზე ამხელა თანხებს არ უბობოქრია.

თავად ფეხბურთელს კი (როგორც მასთან დაახლოებულმა პირებმა ესპანელ ჟურნალისტებს გაუმხილეს) ძალიან უნდა პრიმერადივიზიონში გადასვლა და „რეალში“ თამაში. რონალდუმ ამასწინანდელ რადიოინტერვიუში აღნიშნა, რომ ახლა „მანჩესტერთან“ კონტრაქტის გახანგრძლივების საქმითაა დაკავებული, თუმცა ამის საშუალება რომ მისცენ, სამეფო ფორმით პრიმერადივიზიონში სიამოვნებით იბურთავებდა.

ძალიან კი ცდილობენ „ოლდ ტრაფორდზე“ რონალდუს დატოვებას. „იუნაიტედი“ თავის ვარსკვლავს თავს დაჰკანკალებს და ამით გაკვირვებულმა ესპანურმა გაზეთებმაც დაწერეს — რა დაემართათ ამ ინგლისელებს, არც ერთი ფეხბურთელის შენარჩუნებაზე ასე არ გაგიჟებულანო.

„მანჩესტერის“ მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწემ, თავადაც პორტუგალიელმა და, სხვათა შორის, „რეალის“ ყოფილმა მწვრთნელმა კარლუშ კეიროშმა კრიშტიანუს სულაც „არამიწიერი საოცრება“ უწოდა და განაცხადა, რომ რონალდუ ზიდანზე, რონალდოზე და ლუიშ ფიგუზე უკეთესი ფეხბურთელია.

„საოცრებას“ ფერგიუსონის გუნდთან კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. „ოლდ ტრაფორდის“ უფროსობა მასთან ხელშეკრულების განახლებას ხომ ცდილობს და ჯამაგირის მნიშვნელოვნად მომატებასაც ჰპირდებიან — თუ რონალდუმ ახალ შეთანხმებას ხელი მოაწერა, „მანჩესტერი“ კვირაში 150 ათას ევროს გადაუხდის, რითაც პორტუგალიელის ხელფასი უეინ რუნისა და რიო ფერდინანდის ჯამაგირს გადააჭარბებს.

სადღეისოდ კი კრიშტიანუ ხსენებულ თანხაზე 45 ათასით ნაკლებს იღებს.

სერ ალექსი: „რონალდუს ახლა „ესპანური კლიმატი“ ხიბლავს, მაგრამ მას მხოლოდ მანჩესტერში შეუძლია საყვარელ საქმეზე კონცენტრირება და ჯილდოების თუ სახელის მოპოვება... ამჟამად რონალდუს აგენტთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ, მაგრამ როგორც კი ფეხბურთელთან კონტრაქტის განახლებაზე სერიოზულად ლაპარაკს ვიწყებთ, ისინი რატომღაც ყოყმანობენ... ეს ნორმალური მოვლენაა, ჩვენ ჩვენი იდეები გვაქვს, რონალდუს მხარეს — თავისი. შევეცდებით, საერთო ენა გამოვნახოთ და ორმხრივ დათმობაზე წავიდეთ.“

ამას ფერგიუსონი მედიასთან ოფიციალურ ინტერვიუებში ამბობს, თორემ ფარდის მიღმა სულ სხვანაირადაა საქმე. არაოფიციალური ცნობებით, შოტლანდიელი კრიშტიანუ რონალდუს დრეკადხერხემლიანი აგენტების მარტო ხსენებაზეც ცუდად ხდება და მათ ლანძღვა-გინებას არ აკლებს...

„წყეული ნაბიჭვრები! დღეს რომ ჩემთან მორბიან და მეუბნებიან, რონალდუ „მანჩესტერთან“ ახალ კონტრაქტს სულ მალე გააფორმებსო, ხვალ უკვე მადრიდში არიან და იქაურებს დაპირებებით ტვინს უბნელებენ... ძალიან კარგად ვიცი, სარფიანი შემოსავლის მოლოდინში წყალს ვინც ამღვრევს“ — უთქვამს სერ ალექსს.

ნიჭიერი პორტუგალიელის შეძენით კი სხვა ესპანური გრანდიცაა დაინტერესებული: „რეალის“ მარადიული მტერი „ბარსელონა“. თუმცა, როგორც იქაური მედია აღნიშნავს, რონალდუს უფრო „რეალი“ მოსწონს და „მანჩესტერიც“ ყველაზე დიდ შეტევას კასტილიელთაგან უნდა ელოდოს...

**ლადო ხომერიკი**

# ჩეხეთი — გერმანია და მაინც ჩელსი — არსენალი



**„ჩელსისა“** და „არსენალს“ შორის ტკბილი ურთიერთობა რომ არ არის, გეცოდინებათ. ლონდონური კლუბების მწვრთნელები თუ ფეხბურთელები პერიოდულად უსიამოვნო კომენტარებს ცვლიან ხოლმე ერთმანეთში.

ამჯერად ტომაშ როსიცკიმ „გამოიდო თავი“ და „ჩელსის“ მოსაწყენი გუნდი უწოდა.

შაბათს ევროპის 2008 წლის შესარჩევ მატჩში ჩეხეთი გერმანიას მასპინძლობს. ჟურნალისტმაც როსიცკის ამასთან დაკავშირებით ჰკითხა — „ნაციონალმანშაფტის“ კაპიტანი მიხაელ ბალაკი ინგლისში თამაშობს და როგორ ფორმაშია, გეცოდინებაო...

„არ ვიცი, როგორ ფორმაშია, ბალაკი. „ჩელსი“ ძალიან მოსაწყენი გუნდია და მის თამაშებს არ ვუყურებ. თქვენ გსიამოვნებთ „ჩელსის“ თამაშის ყურება?“ — მიუგო როსიცკიმ.

„დორტმუნდის“ ყოფილ ვარსკვლავს ჩეხეთ — გერმანიის შეხვედრაში ყოფილი და ამჟამინდელი თანაგუნდელის იენს ლემანის წინააღმდეგაც მოუწევს თამაში...

„იენსი ბრწყინვალე მეკარე და ადამიანია. თამაშისას ზოგჯერ წყობიდან გამოდის, მაგრამ ცხოვრებაში ძალიან მშვიდია. მე მისი თამაშის სტილი ვიცი, თუმც მანაც იცის ჩემი. რთული მატჩი გველის — გერმანია, როგორც ყოველთვის, ძლიერია და მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს. ვფიქრობ, კარგი თამაში გამოვა, ჩვენც და ქომაგებიც სიამოვნებას მივიღებთ“ — დასძინა როსიცკიმ.

**კოკი კანდელაკი**



ჯონი ჰეიტინგა



იან კლაას ჰუნტელაარი

# ბებერი ქალბატონის ახალგაზრდა თვალები

**იტალიური** ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ტურინის „იუვენტუსი“ ახალ ფეხბურთელებს ისევ ჰოლანდიაში ეძებს.

ამსტერდამის „აიაქსის“ ჩეხი მცველი ზდენეკ გრიგერა მომავალი სეზონიდან „ბებერი ქალბატონის“ მაისურას რომ მოირგებს, უკვე გადაწყვეტილია. ტურინელებს კი ამსტერდამელთა კიდევ ორი ფეხბურთელისთვის, ჯონი ჰეიტინგასა და კლაას იან ჰუნტელაარისთვის დაუდგამთ თვალი.

„იუვეს“ სკაუტები ჰსვ — „აიაქსის“ ამასწინანდელ მატჩზეც გაუგზავნია. ის შეხვედრა ამსტერდამელებმა 5:1 მოიგეს — ჰუნტელაარმა დუბლი შეასრულა, კარგად ითამაშა ჰეიტინგამაც.

ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ტურინელებს ადრეც უკავშირებდნენ. მაგალითად, ჰუნტელაარს „ბიანკონერის“ ტრანსფერების ყოფილი გურუ ლუჩანო მოჯი ორი წელი ელაპარაკებოდა.

როგორც ამბობენ, „იუვენტუსს“ ჰუნტელაარის სანაცვლოდ, სულ მცირე, 22 მილიონი ევროს გაღება მოუწევს.

ჰუნტელაარს „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“, „ინტერი“ და სხვა მსურველებიც ჰყავს.

რაც შეეხება ჰეიტინგას, ვისაც დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში და მარჯვენა ფლანგზეც, დაახლოებით 7,5 მილიონი ევრო ღირს.

ბარემ აქვე აღვნიშნოთ, რომ „სერია B-ს ლიდერ „იუვენტუსსა“ და მეორეადგილოსან „ნაპოლის“ შორის გასამართი მატჩი 25 მარტის ნაცვლად 10 აპრილს ჩატარდება. მიზეზი ის გახლავთ, რომ „იუვეს“ 7 ფეხბურთელი ნაკრებებში არიან გამოძახებულნი.

**გიორგი კაკაბაძე**



# მასიმო მორატის სიკვდილი გაუგზავნეს

**მასიმო მორატის** მოკვლით ემუქრებიან. ანონიმისგან გაგზავნილ ამანათში, რომელიც „ინტერის" ოფისში პრეზიდენტ მორატის სახელზე მივიდა, თოფი და ტყვია-წამალი იდო. ეს ამბავი „კორიერე დელა სერამ" გუშინ გაავრცელა.

გაზეთის ცნობით, ამანათი დაახლოებით ათი დღის წინ მიიტანეს „შავ-ლურჯების" ოფისში.

მილანის პროკურორი სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებს. „კორიერე დელა სერას" ცნობით კი, ბოლო რვა თვის განმავლობაში „ინტერს" მუქარის არაერთი წერილი თუ სატელეფონო ზარი გაუგზავნეს და ეს ყველაფერი შარშანდელ სკუდეტოს უკავშირდება, რომელიც „შავ-ლურჯებმა" მუქთად, კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ მიიღეს.

ამას წინათ მასიმო მორატის „მილანის" ფანიც კი მიუხტა, ნაჩუქარ სკუდეტოზე უარს რატომ არ ამბობთო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ეი-ჯეის თოფი დაუმიზნეს

**„ევერტონის"** ფორვარდ ენდი ჯონსონის შეძენა „არსენალს" და „ტოტენჰემს" უნდათ — წერს „დეილი მეილი". „მეთოფეების" მწვრთნელ არსენ ვენგერს ძალიან მოსწონს ეი-ჯეის თამაში და ამბობს, სწორედ ასეთი თავდამსხმელი აკლია გუნდსო. ლონდონში გადაბარგების წინააღმდეგი არც თავად ევერტონელია, რადგან ბავშვობაში „არსენალის" ქომაგი ყოფილა.

ჯონსონის გადაბირებას, თავის მხრივ, „ტოტენჰემიც" ცდილობს, რომელსაც ფორვარდი რობი კინის, დეფოს ან მიდოს შემცვლელად შეუგულებია. „ევერტონი" თავდამსხმელში 12 მილიონ გირვანქას ითხოვს.

## ფოსტერისთვის ვილას აშენებენ

**„ბირმინგემ მეილის"** ცნობით, „ასტონ ვილა" მეკარე ბენ ფოსტერის ყიდვას აპირებს, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედს" ეკუთვნის და „უოტფორდშია" განათხოვრებული. „ვილას" მწვრთნელ მარტინ ონილს საიმედო მეკარე სჭირდება, რადგან თომას სორენსენით უკმაყოფილოა.

„უოტფორდი" გავარდნის კანდიდატია და თუ ჩაქვეითდა, ფოსტერი ალბათ ჩაყოლას არ ინებებს, რადგან ინგლისის ნაკრების წევრია. ამგვარად, „ასტონ ვილას" მეკარის გადაბირების კარგი შანსი ექნება.

## მომაშორეთ ადრიანო!

**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, „ინტერი" და „რეალი" გაცვლას აპირებენ: მილანიდან მადრიდში ადრიანო წავა, ხოლო „შავ-ლურჯები" ანტონიო კასანოს მიიღებენ. ადრიანომ ამას წინათ ღამის კლუბში იჩხუბა და მასიმო მორატისაც მოთმინების ფიალა აევსო — „ინტერის" პრეზიდენტს ბრაზილიელის მოშორება უნდა და ამ ზაფხულს მის გაყიდვას შეეცდება.

## ბუნდესლიგას ფული მიაწყდა

**ბუნდესლიგაში** ფულის მიზღვავება, რაც მსოფლიოს გაწვლილი ჩემპიონატის წინ დაიწყო. ასეთი ჩაფულიანება ისტორიას არ ახსოვს: 36 პროფესიული კლუბის შემოსავალი შარშანდელ სეზონთან შედარებით 25 მილიარდი ევროთი გაიზარდა. აქედან რეკლამიდან მიღებული თანხა 417 მილიონია.

ბუნდესლიგის ერთ მატჩს საშუალოდ 30 ათასი ქომაგი ესწრება (2005-2006-ში 35 ათასი იყო). კლუბებში მუშა-მოსამსახურეების რაოდენობაც 10 პროცენტით გაიზარდა და ამჟამად 34 103 ადამიანია.

## ვან ბომელი ერთიანია

**მიუნხენის** „ბაიერნის" ჰოლანდიელი ლეგიონერი მარკ ვან ბომელი „მილანთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში ითამაშებს. „რეალთან" გაძევებულ ფეხბურთელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ეკუთვნოდა, მაგრამ უეფამ ერთი დაუმტკიცა.

## იდიოტს გაარკვევენ

**„მაინცის"** მწვრთნელი იურგენ კლოპი, შესაძლოა, დასაჯონ, რადგან ბრემენის „ვერდერთან" მატჩში მსაჯს იდიოტი უწოდა — გერმანიის ფეხბურთის ასოციაცია ამ ამბავს იძიებს.

როცა „ვერდერის" სასარგებლოდ არბიტრმა ჯარიმა დანიშნა, კლოპმა ის იდიოტად მოიხსენია და ეს ყველაფერი მსაჯის პატაკში წერია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არ დაიჯეროთ, არავის ვყიდით!

**კატალონიური** „ბარსელონას" სპორტულმა დირექტორმა აიტორ ჩიკი ბეგირისტაინმა რადიო RAC-თან საუბარში რამდენიმე საინტერესო კომენტარი გააკეთა...

„აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რონალდინიო, დეკუ, ეტოო და მესი არსად წავლენ. ისინი აქ თავს ძალიან კარგად გრძნობენ და თავიანთ მომავალს „ბარსელონას" უკავშირებენ. იგივეს ვიტყოდი კარლეს პუიოლსა და რაფაელ მარკესზე. არც ერთ კლუბს ამ ფეხბურთელებზე ოფიციალური წინადადებით არ მოუმართავს და ჭორებს ყურს ნუ უგდებთ" — თქვა ბეგირისტაინმა.



„ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა და ჩიკი ბეგირისტაინი

„ბარსას" სპორტული დირექტორის თქმით, ზაფხულში კლუბი 3-4 ფეხბურთელს დაიმატებს სუსტი პოზიციების შესავსებად. მათ შორის კი კრიშტიანუ რონალდუ ალბათ არ იქნება.

„რონალდუ ძალიან კარგი ფეხბურთელია — ამბობს ბეგირისტაინი — თუმცა მისი შეძენა არ გვიცდია. კრიშტიანუს ყიდვაზე ფიქრს აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ გუნდს რომელიმე ვარსკვლავი დატოვებს, რადგან კლუბი მართვადი და დაბალანსებული უნდა იყოს".

კატალონიელთა კიდევ ერთი სამიზნე „სევილიას" მცველი დანიელ ალვეშია, მაგრამ ბეგირისტაინს მისი ფასი არ მოსწონს: „ალვეშში 25 მილიონ ევროს ითხოვენ. მისდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეს არარეალურია. როგორც ჩანს, სევილიელები ამხელა თანხებს ხოსე ანტონიო რეიესის, ჟულიო ბაპტისტასა და სერხიო რამოსის ტრანსფერებმა მიაჩვიეს. არიან სხვა საინტერესო ფეხბურთელებიც. მაგალითად, როდრიგო პალასიო, რომელმაც უკვე გამოთქვა ევროპაში თამაშის სურვილი. იგი სწრაფია და რამდენიმე პოზიციის გაკონტროლება შეუძლია".

„ბარსელონამ" არცთუ დიდი ხნის წინ გაახანგრძლივა კონტრაქტი ჟულიანო ბელეტისთან, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტთან და სილვინიოსთან. ხავიერ სავიოლას კონტრაქტს კი სეზონის ბოლოს გასდის ვადა და მის გაგრძელებაზე ჯერ არაფერი ისმის.

ჩიკი ბეგირისტაინი: „მათთან კონტრაქტი იმიტომ გავახანგრძლივეთ, რომ კლუბის წარმატებებში დიდ როლს თამაშობენ და მომავალშიც გვეიმედება მათი. რაც შეეხება სავიოლას, მას მალე კონკრეტულ წინადადებას შევთავაზებთ".

ბევრის აზრით, „ბარსა" მიმდინარე სეზონს არცთუ წარმატებულად იმიტომ ატარებს, რომ ეტოოსა და მესის საკმაოდ სერიოზული ტრავმები ჰქონდათ და დიდი დრო გაუცდათ...

„ყველაფრის გართულება და დაკავშირება არ არის საჭირო. მათ გარეშე ჩვენ პრიმერადივიზიონს ვლიდერობდით და ახლაც ვლიდერობთ. ასევე ესპანეთის თასის ნახევარფინალში გავედით. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემები დაცვაშია. არც იმ აზრს ვიზიარებ, რომ კიდევ ერთი ფორვარდი გვჭირდება" — დასძინა ბეგირისტაინმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# მილანმა რონალდინიოს ძამბროტაც დაუმატა

**„მილანის"** ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ერთხელაც აღნიშნა, რომ რონალდინიოს შეძენა სურს და შეიძენს კიდეც, თუ „ბარსელონა" ბრაზილიელის გაშვებას გადაწყვეტს.

„არა მგონია, „ბარსელონამ" რონალდინიო გაუშვას, მაგრამ თუ ამაზე ლაპარაკი დაიწყება, იგი ნამდვილად „მილანში" გადმოვა. ეს უკვე გადაწყვეტილია და ჩვენ, კლუბის პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის თამადობით, მის ყიდვაზე გამუდმებით ვფიქრობთ" — თქვა გალიანიმ.

„მილანი" „ბარსელონას" კიდევ ერთ ფეხბურთელს, ჯანლუკა ძამბროტასაც უმიზნებს. ყოფილი იუვენტუსელის „როსონერიში" გადასვლა შარშან ზაფხულს თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, კალჩოპოლის სკანდალის გამო „მილანის" დასჯის შემდეგ მან კატალონიურ კლუბში გადაბარგება არჩია.

გუშინ არ უვარჯიშიათ ფრანგული „ბურგუნის" შერკინების ბურჯ დავით ხინჩიგაშვილს, რომელიც გუშინ ღამით უნდა ჩამოფრენილიყო თბილისში და „ბურგუენისავე" შუამარბ ირაკლი გიორგაძეს. მან ესპანეთთან წაგებულ მატჩში წვივი იტკინა და ტრავმა რომ არ გამიზეზებოდა, ფეხი დაასვენა. გუშინვე გადაწყდა, რომ რუსეთთან შერკინებას პირველ ხაზს ვერ გაამაგრებს კლერმონელი დავით ზირაქაშვილი. მას ტრავმა აქვს და თბილისში არც ჩამოსულა. საერთოდ, რუსეთთან საქართველოს ნაკრებს პირველი ხაზის სამივე ძირითადი მორკინალი არ ეყოლება, არადა, ეს რგოლი ჩვენების მთავარი კოზირია.

სანამ საღამოს ვარჯიში დაიწყებოდა, რამდენიმე მორაგბემ ნახევარი საათით კუნთები ტრენაჟორებზე გაახურა და მათაც იმ დროს გავესაუბრეთ. *გია ლაბაძე:* „ესპანეთთან არ მითამაშია და არც მატჩის ვიდეოფირი მინახავს, ამიტომ დასკვნებისაგან თავს შევიკავებ. რაც შეეხება მომავალ მატჩს, როგორც ყოველთვის ძალიან დაძაბული და ნერვიული შეხვედრა იქნება. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ ახლაც ნახევარი გუნდი გვაკლია, რუსების მთავარი მწვრთნელი კი კლოდ სორელია. მიუხედავად ამისა, მჯერა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".

ესპანეთთან მატჩში ქართველების კაპიტანს ვიქტორ დიდებულიძეს სიცხე ჰქონდა და გუშინწინ მსუბუქად ივარჯიშა, გუშინ კი მხნედ იყო და ბოლომდე დაიტვირთა. „ესპანეთთან რაღაც უცნაური მატჩი იყო, ბურთი ფაქტობრივად ვერ მოვიხელთეთ, არაფერი გამოგვივიდა. რუსეთთან კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მართალია, ოპტიმალურ შემადგენლობას ვერც ახლა მოვუყარეთ თავი, მაგრამ ესპანეთთან შედარებით, ბევრად ძლიერი გუნდი გვყავს, რუსეთთან ესეც საკმარისი უნდა იყოს" — გვითხრა ვიქტორ დიდებულიძემ.

რუსეთთან აუცილებლად ითამაშებს ჩვენების მთავარმექულე და კაპიტანი პალიკო ჯიმშელაძე, რომელიც ილია ზედგინიძის არყოფნაში ქართველებს უკაპიტნებს. „თუ რამის გამოსწორება და დამტკიცება გვინდა, რუსეთს სორელიანად უნდა გავუგოთ. მართალია, სორელმა ხუთი თითივით იცის ჩვენი პლუს-მინუსები, მაგრამ ჩვენც კარგად ვიცნობთ, რა ტაქტიკით უყვარს თამაში და სად რა შეცდომას უშვებს. ერთი სიტყვით, სორელის ფაქტორი სულაც არ არის გადამწყვეტი და მჯერა, ჩვენ მოვიგებთ" — იმედიანადაა პალიკო ჯიმშელაძე.

ვარჯიში დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა და უწინდელისგან განსხვავებით აშკარაა, რომ ნაკრების ხელმძღვანელობამ საქმეს ხელი მკაცრად მოჰკიდა. მთელი ვარჯიშის მანძილზე ჩვენების მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი არ გაჩერებულა, ერთი-ორჯერ ხმასაც აუწია, თუ რამე არ მოეწონებოდა, ამას საკმაოდ ემოციური გამოხატავდა.

რაგბიში ასეა, რომ ყველა კომბინაციას თავისი სახელი ჰქვია, ჩვენების ვარჯიშისას კი ყველაზე ხშირად „ზელანდიურს" გაიგონებდით, ალბათ ქართველები რუსებს სწორედ ამ საფირმო კომბინაციას უმზადებენ.

ნავარჯიშევს ჩვენების ერთ-ერთ მწვრთნელ *დავით ჩავლეიშვილს* გავესაუბრეთ...

— ამ მომენტისათვის ვინც ჯანზე იყო, ყველა სასურველ მორაგბეს ვუხმეთ და დასანანია, რომ არ გვეყოლება რამდენიმე საკვანძო მოთამაშე, რაც ცხადია, თამაშის ხარისხზეც აისახება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ფავორიტი საქართველოა.

— სორელის ფაქტორი რამდენად მნიშვნელოვანია?

— მისი რუსეთის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა ცხადია ჩვენთვის უსიამოვნო ფაქტია. სორელი კარგად იცნობს საქართველოს ნაკრებს და მოთამაშეთა უმეტესობის ავ-კარგიც ხუთი თითივით იცის. ამისთვის მზად ვართ, შეიძლება ითქვას, წინასწარ ვიცით, რა ტაქტიკით გვეთამაშება რუსეთის ნაკრები.

— და რა ტაქტიკას აირჩევს?

— ჩვენს ნახევარზე ფორვარდების ზურგსუკან დაიწყებენ ბურთის ფეხით ჩაკიდებას და მერე თამაშის ჩახურვას შეეცდებიან. ამის წინააღმდეგ ჩვენც გვაქვს ტაქტიკური ჩანაფიქრი.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველო რუსეთთან

**მორკინალები:** დავით გასვიანი, დავით ხინჩაგაშვილი, ავთო კოპალიანი, რევაზ ბელქანია, დავით დადუნაშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ლევან დათუნაშვილი, ზურაბ მჭედლიშვილი, ილია მაისურაძე, ბესიკ უდესიანი, გია ლაბაძე, გიორგი ჩხაიძე

**უკანა ხაზი:** ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, პალიკო ჯიმშელაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი გიორგაძე, დავით კაჭარავა, გიორგი შკინინი, გიორგი ელიზბარაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი

## დათვის ტყავში გახვეული ფრანგი

### რუსები აღმოსავლეთიდან და ფეხით შემოგვიტევენ

**ბადრი ქეთილაძე** *ბაქოდან*

**შაბათის** მატჩისთვის მზადებას რუსეთის ნაკრები ბაქოში განაგრძობს. ჩვენი მეზობლების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა „დათვები" ცივ რუსეთს გაარიდა და უკეთეს კლიმატურ პირობებში, კასპიის ზღვის პირას დააბანაკა.

რუსებმა შეკრება ბაქოს ფიზკულტურის აკადემიის სპორტულ კომპლექსში 18 მარტს დაიწყეს და დღეში ორჯერ ვარჯიშობენ. გუშინ ქართველების მწვრთნელყოფილმა დიდი დრო აუტისას დერეფნის დაყენებას, ბურთის მოგებას და მერე მოლით მიწოლას დაუთმო. ერთი შეხედვით ეს კომპონენტი რუსებს კარგად დაუხვეწიათ, მაგრამ ტანმაღალი მორკინალების სიმრავლის მიუხედავად, შერკინებას პირველი და მეორე ხაზი მთლად ჯანზე ვერ გამოიყურება და მიწოლა-გადაყრაში უპირატესობა ალბათ ქართველების იქნება.

ვარჯიშზე აშკარად გამოჩნდა, რომ რუსებს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავთ — ფრანგული „ბაიონის" მორკინალი ვიაჩესლავ გრაჩოვი კარგა ხანია, „დათვების" ყოჩი და გამწევი ძალაა. ფრანგული „აჟანის" მესამეხაზელი კირილ კულემინი კი ნაკრებში ახალი სახეა, მაგრამ უკვე გამორჩეული ყურადღებით სარგებლობს. ამ ორის გარდა დანარჩენები რუსეთის ჩემპიონატში თამაშობენ.

გუშინ კლოდ სორელმა საგანგებოდ ავარჯიშა თავისი ფეხჩუბინი შეგირდები. სორელის თქმით, ესპანეთთან მატჩში ქართველებმა ბლომად ჯარიმები აიკიდეს და თუ ასეთი შესაძლებლობა რუსებსაც მიეცემათ, ჯარიმას ეგრევე კარში დაარტყამენ.

ერთიც, როგორც საქართველოში მუშაობისას იყო, სორელის მარჯვენა ხელი აქაც ფიზმომზადების მწვრთნელი ტიერი რუდილია. რუსეთის ნაკრები ბაქოურ შეკრებას დღეს დაასრულებს, ხვალ კი თბილისში გამოფრინდება.

### რუსეთი საქართველოსთან

**მორკინალები:** ალექსანდრ ხროკინი, ვლადიმირ მარჩენკო, ევგენი პრონენკო, ივან პრიშჩეპენკო, სერგეი ნოვოსელოვი, სერგეი პოპოვი, ვიქტორ კობზევი, ივან ნაუმენკო, ანდრეი ლუჟინი, კირილ კულემინი, ანდრეი ტემნოვი, კირილ კუშნაროვი, ალექსეი სარეჩევი, არტემ ფატახოვი, ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, ვიაჩესლავ გრაჩოვი, ალექსეი პანასენკო

**უკანა ხაზი:** ალექსანდრე იანუშკინი, ალექსადრე შაკიროვი, ვიქტორ მოტორინი, იური კუშნარევი, სერგეი სუგრობოვი, სერგეი ბელოუსოვი, იგორ გალინოვსკი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ანდრეი კუზინი, იგორ კლუჩნიკოვი, მიხეილ ბაბაევი, ალექსანდრე გვოზდოვსკი, იაროსლავ რეჩნოვი.



ბადრი ქეთილაძე ბაქოდან

ძიუდო

# ქევხიშვილის ევროპა ბორჯომში გამოჩნდება



ევროპის სამგზის პრიზიორი ძიუდოისტი დავით ქევხიშვილი ნახევარწლიანი ტრავმიანობის შემდეგ ტატამზე დაბრუნებას აპრილის დასაწყისში, ევროპის ჩემპიონატზე აპირებს. 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნაკრების პირველი ნომერი მრავალტანჯულ მუხლს ნელ-ნელა იშუშებს და უკვე წინასაჩემპიონატო ბაკურიანული შეკრების გავლაც მოასწრო, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც ექიმებზეა. ქევხიშვილის ევროშანსი მორიგ შეკრებაზე გამოჩნდება, რომელსაც ნაკრები ხვალ დაიწყებს

— მენისკის ოპერაციის შემდეგ ინდივიდუალური გრაფიკით ვარჯიში დაახლოებით ერთი თვის წინ დავიწყე — გვითხრა დათომ გუშინ — დატვირთვებს შეგნებულად ვერიდებოდი, ნაოპერაციევი მუხლის მორჩენაში ხელი რომ არ შემშლოდა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო და ბაკურიანულ შეკრებაზე ნაკრებთან ერთად გავემგზავრე, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ტრავმის მოშუშებას იმაზე მეტი დრო სჭირდება, ვიდრე წინასწარ ვგეგმავდით.

— ბაკურიანშიც ინდივიდუალური გრაფიკით ემზადებოდი?

— შეკრებაზე ძირითადი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გაკეთდა. ბიჭები სერიოზულად იტვირთებოდნენ, მე კი მსუბუქად ვვარჯიშობდი. თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რათა ტკივილებს თავი შეეხსენებინა. მუხლში სითხე ისევ დგება და დატვირთვა დიდ რისკთანაა დაკავშირებული.

— ექიმები რას ამბობენ?

— ტრავმა შედარებით კი გართულდა, მაგრამ მცირე დატვირთვების ნება მომცეს. ბოლომდე გამოჯანმთელებას კი დრო დასჭირდება.

— ევროპის ჩემპიონატამდე ორი კვირაღა რჩება. მოასწრებ მწყობრში ჩადგომას?

— ძალიან მინდა, მოვასწრო. ჯერ ერთი, რომ დიდი ხანია, ტურნირზე არ გამოვსულვარ და მეორეც, მომავალ ევროპის ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების დარიცხვაც იწყება. ტკივილმა ამაზე მეტად თუ არ შემაწუხა, მაინც ვიჭიდავებ.

— ფორმაც რომ აღიდგინო, სატურნირო გამოცდილების ნაკლებობა ხელს არ შეგიშლის?

— ეს პრობლემა არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარია, ფიზიკურად მოვემზადო. ფსიქოლოგიურად არანაირად არ გამიჭირდება.

— ევროპის ჩემპიონატებს ტრადიციულად კარგად ჭიდაობ. მედალი სამჯერ აიღე, მაგრამ ჩემპიონი ერთხელაც ვერ გახდი. მაინც რა გაკლდებოდა ოქრომდე?

— ყველაზე მეტად გამოუცდელობა. თან ჯანმრთელობაც არ მიწყობდა ხოლმე ხელს. ახლა უკვე ამ მხრივ ხელი აღარ უნდა შემეშალოს. პირიქით, გამოცდილების ხარჯზე უნდა ვაჯობო სხვებს.

— ვის მიიჩნევ 73 კილოგრამის ფავორიტებად?

— წონის ლიდერად ვინმეს დასახელება ძნელია. 3-4 გამოკვეთილი ფავორიტის ჩამოთვლაც კი თითქმის შეუძლებელია. სულ ცოტა, 10 ძიუდოისტს აქვს ევროპული ოქროს მოგების თითქმის თანაბარი შანსი.

— დაბოლოს, როდის გადაწყდება, შეძლებ თუ ვერა ევროპის ჩემპიონატზე წასვლას?

— ბორჯომული ორკვირიანი შეკრების პირველსავე კვირაში. დამაცდის თუ არა მუხლი, ტატამზე გამოჩნდება.

**ოთარ მალლაძელიძე**

სუმო


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოკაი ქამარს ვერ შეწვდა

კატიკოსგანაღდებულმა კოკაიმ გუშინ მთლად მოწინავეთა შორის მოხვედრის რეალური შანსი დაკარგა. ხუთდღიანი გამარჯვებათა სერია ლევან ცაგურიამ თავისსავით რვაქულიან ტოჩიაძინთან შეწყვიტა. ბრძოლა სულ რაღაც წამნახევარს გაგრძელდა. მაკუტის 20 წლის დებიუტანტმა დასავლეთის მეშვიდე მაეგაშირად წოდებულ ჩვენებურს ისე აჯობა, ილეთის გაკეთებაც არ დასჭირვებია. სასტარტო შეჯახებისთანავე კოკაი ქვემოდან შეეცადა მეტოქის ქამარში შესვლას, მაგრამ მოულოდნელად წონასწორობა დაკარგა და შუა დოჰიოზე დავარდა.

ბაშოს ფინიშამდე ოთხი ტურით ადრე იმპერატორის თასთან ყველაზე ახლოს კვლავ ოძეკი ხაკუხოა. მეათე ქულა „თეთრმა ფენიქსმა" უახლოეს მდევარ ხომასიოს ძლევით მიითვალა. ამჟამად მას კვალში ყველაზე ახლოს ჩვენებურის მომგები ტოჩიაძინი და იოკოძუნა ასასიორუ ჩასდგომიან. ამ უკანასკნელმა გუშინ ოძეკი ტოჩიაძუმას წაქცევით ზედიზედ მეცხრე ქულა მიითვალა.

ერთპიროვნულ ლიდერს კოკაისთან ერთად ორ-ორი ქულით ჩამორჩებიან ტოჩიაძუმა, ხომასიო, კოტომიცუკი, ტამანოსიმა და ვაკანოსატო.

დღეს ცაგურია 203-სანტიმეტრიან „ბალკანელ გულივერს", შეიდქულიან ბულგარელ კოტოოსიუს დაეჭიდება.

**ოთარ მალლაძელიძე**

ჩოგბურთი

# ოქსანა ოქსანას ასცდა
## ქვაცაბაიას ისევ ჰუკი ერგო

**ათენში,** სადაც 18 წლის ქართველი ჩოგბურთელი სოფო ქვაცაბაია ITF-ის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიან შეჯიბრში მონაწილეობს, მოვლენები ზუსტად ისე ვითარდება, როგორც ერთი კვირის წინ, წინა ათენურ ტურნირზე.

მაშინ სოფომ საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებული თამაშით მოახერხა ძირითად ბადეში მოხვედრა, მერე პირველი წრე გაიარა და მეორეში კი ფრანგ ვიოლეტ ჰუკს შეხვდა.

ამჯერადაც ზუსტად ასეა და იმედია, ერთი კვირის წინანდელის გამეორება აქ დასრულდება — წინა შეჯიბრზე ფრანგმა ქართველს 6:2 6:3 მოუგო, მერე ფინალსაც უწია და იქ კი 2:6 1:6 წააგო ბრაზილიელ ტელიანა პერეირასთან.

ახლა სოფო გაცილებით უკეთ გამოიყურება და წესით, ჰუკს დიდი ბრძოლა უნდა გაუმართოს. პირველ წრეში ქართველმა სამ სეტში — 7:5 4:6 6:3 დაჯაბნა რეიტინგის 478-ე ნომერი, 20 წლის უკრაინელი კატერინა ავდიენკო. ჰუკი კლასიფიკაციაში ამ ავდიენკოზე წინ, 387-ე პოზიციაზეა. პირველ მეტოქეს, ბერძენ ანა კოუმანტოუს მან იოლად — 6:1 6:2 სძლია.

თუ ქვაცაბაია შეძლებს და ფრანგს რევანშს აუღებს, მეოთხედფინალში ან მე-3 ნომრად განთესილ სლოვაკ ლენკა ტვაროსკოვას შეხვდება, ანაც ავსტრიელ პატრიცია მეირს.

ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე კი, კერძოდ ეგვიპტურ ქაიროში, ასევე ITF-ის ეგიდით, აგრეთვე 10-ათასიანი ტურნირი ტარდება, სადაც კიდევ ერთმა ჩვენებურმა, ნორჩმა ოქსანა კალაშნიკოვამ ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში 6:2 6:2 მოუგო 19 წლისა და რეიტინგში 815-ე ადგილზე მყოფ ჩინელ ხუან ქსის. მეორე წრეში ოქსანა იტალიელ ვიტორია პერუჯინის შეხვდება, რომელმაც 7:6 1:6 6:2 დაამარცხა მესამე ნომრად განთესილი რუსი ოქსანა კარაშკოვა. თუ ამ პერუჯინის მოუგებს, მერე კალაშნიკოვას მეტოქე ისევ იტალიელი იქნება — ან აგნესა ტურჩინი ანაც მარტინა კარეჯარო.



ოქსანა კალაშნიკოვა

ჭიდაობა

თავისუფალი სტილის ახალგაზრდა მოჭიდავეთა ლატვიურ უხვმედლიანობას ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ პრესკონფერენცია მოაყოლა. გასულ უქმეებზე ჩატარებული რიგის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორები და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ნუგზარ სხირელი ჟურნალისტებს სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში გუშინ შეხვდნენ. თან გუნდური ჩემპიონობისთვის მოპოვებული უზარმაზარი თასიც მოიტანეს

# ლონდონის რიგი რიგაში დადგა

პირველი მილოცვა ფედერაციის პრეზიდენტ *კახა გეწაძის* იყო: „ლატვიის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი სიძლიერით ყოველთვის გამოირჩეოდა და მასზე ასე კარგად გამოსვლა განსაკუთრებით სასიხარულოა. ორი წლის განმავლობაში გუნდურში ჩემპიონები მასპინძლები ხდებოდნენ. იქამდე ირანმა იმარჯვა, ახლა კი ჩვენმა ნაკრებმა შანსი არავის დაუტოვა. ტურნირში სულ 14 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა. ვულოცავ ახალგაზრდებს გამარჯვებას და უფროსებშიც უდიდესი ტურნირების ოქროებს ვუსურვებ. პირობების შექმნა კი ჩვენზე იყოს".

ნაკრების თავკაცისთვის რიგულ შეჯიბრს დამატებითი დატვირთვაც ჰქონდა. ივლისში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია და ამიტომაც იყო, ორ წონაში ორ-ორი კაცი რომ იახლა ბალტიისპირეთში.

„საევროპე შემადგენლობის ნაწილი უკვე გამოკვეთილია. რამდენიმე წონაში კი ჯერ კიდევ არ დაგვისახელებია საუკეთესო — გვითხრა *ნუგზარ სხირელმა* — ჩემპიონატამდე ერთი საერთაშორისო ტურნირიც გველის. ივნისში თურქეთში გავემგზავრებით. იმედია, ყველა მთავარ კანდიდატს წავიყვანთ და ევროშემადგენლობა უძლიერესებით შეივსება. რიგაში ბიჭების ჭიდაობით კმაყოფილი დავრჩი. ათიდან რვამ მედალი მოიპოვა. კარგი თაობა მოდის და სწორედ ამ ახალგაზრდებით უნდა დაკომპლექტდეს ნაკრები 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე".

**ოთარ მალლაძელიძე**

სროლა

# შეიარაღებული პრობლემები შეუიარაღებელი თვალით

სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ და ვერცხლის პრიზიორ ნინო სალუქვაძეს იმდენი მედალი თუ პრიზი მოუპოვებია, იმდენი მსოფლიოს რეკორდი დაუმყარებია, რომ მათი სათვალავი ჩვენ კი არა, თავადაც არული აქვს. სათვალავი არევია მამამისსაც, ვახტანგ სალუქვაძესაც, რომელიც შვილს ბავშვობიდან დღემდე პნევმატური და სპორტული პისტოლეტით ჩუბინობაში ავარჯიშებს, მაგრამ არის ერთი რეკორდი, რომელიც გულშემატკივრებს იქნება არა, მაგრამ მამაშვილს ჯერ კიდევ ახსოვს — ნინო სალუქვაძე ოლიმპური თამაშების ხუთგზის მონაწილეა და იგი ამ მხრივ საქართველოს ყველაზე გამორჩეული სპორტსმენი გახლავთ. მეტიც, ეს ვეტერანი, მაგრამ ტყვიის სროლისთვის ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა სპორტსმენი პეკინში თავისივე რეკორდს გააუმჯობესებს — მან ხომ ჯერ კიდევ შარშან მოიპოვა პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია



**მაგრამ** საკითხავი ისაა, ნინო სალუქვაძეს ვინ აუბამს მხარს პეკინში, ვის როგორი სალიცენზიო შანსი აქვს და საერთოდ, სად და როგორ პირობებში ემზადებიან ჩვენი სპორტსმენები დიდი სტარტებისთვის.

პირობებს რაც შეეხება, უწინდელთან შედარებაც არ შეიძლება, უკვე მესამე წელიწადია, რაც თბილისში, სპორტკომიტეტის შენობაში ნინო სალუქვაძის ტირი მოეწყო, სადაც სისუფთავეცაა, არც განათებისა და გათბობის პრობლემა აწუხებთ, ოღონდ ეგაა, რომ აქ კაცთათვის 50-მეტრიანი ტირი არ არსებობს და მათ ისევ იმ ძველ არმიის სპორტული კლუბის სარდაფში უწევთ ვარჯიში. ისიც პრობლემაა, რომ ჩვენს სპორტსმენებს ძველებურად აწუხებთ ღია ტირის უქონლობა. არადა, შეჯიბრებები ერთგანაც ტარდება და მეორეგანაც.

— საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება იფიქროს, მერე რა მოხდა, მთავარია, დახურული ტირი ხომ გაქვთო, მაგრამ ღია ტირში სროლისას სულ სხვა პირობებია. იქ შეჯიბრებაზე ქარიც მოქმედებს, მზეც და სხვა ფაქტორებიც — გვითხრა *ვახტანგ სალუქვაძემ*, რომელიც შვილთან ერთად მთელ გუნდსაც ავარჯიშებს, ოღონდ ეგაა, ეს გუნდი არც ისე მრავალრიცხოვანია, თუმცა ტყვიის სროლა დიდი მასობრიობით მაინცდამაინც არც წინათ გამოირჩეოდა.

ასეა თუ ისე, როგორც ვახტანგ სალუქვაძესთან საუბარში გავარკვიეთ, ამ გუნდის კაცთა რაზმიდან პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვებაზე ფიქრიც კი ზედმეტია და ეს საქმე ქალთათვისაც პრობლემატურია, თუმცა მათგან ერთი-ორს რაღაც შანსი მაინც აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს ალბათ ისევ და ისევ ქუთაისელი ნინო უჩაძეა, აგრეთვე თამილა ასათიანი, სხვები კი მათ აშკარად ჩამორჩებიან.

სხვათა შორის, თამილა ასათიანი წინათ თოფის მსროლელი იყო, მაგრამ ვახტანგ სალუქვაძის რჩევით პნევმატური და სპორტული პისტოლეტი აიღო ხელში და არც უნანია — შარშანწინ სალუქვაძესა და უჩაძესთან ერთად იმ გუნდში იყო, ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი რომ მოიპოვა.

— წლევანდელი ევროპის ჩემპიონატზე ასეთი წარმატების არა, მაგრამ გარკვეული იმედები გვქონდა, რადგან კარგად მოვემზადეთ. გვეუბნება ვახტანგ სალუქვაძე — ძალზე გაგვიმართა ხელი ბავარიაში მცხოვრებმა ყოფილმა თბილისელმა მსროლელმა დიმა კუჩეროვმა, რომელიც აქ ტურისტად გვეწვია და ჩვენს ტირშიც ისროდა, მერე კი გერმანიაში ერთი კვირით მიგვიწვია და თავის კლუბში მშვენიერ პირობებში უსასყიდლოდ ვარჯიშის საშუალება მოგვცა. ვარჯიშებისას ჩვენი გოგონები კარგ შედეგებს აჩვენებდნენ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის ბოლო სერიაში ყველამ ცუდად ისროლა. ეს რაღაც უიღბლობა იყო.

— ჩვენს სახეობაში მახვილი თვალი და სროლის კარგი ტექნიკა გადამწყვეტი სულაც არაა. ძალზე მნიშვნელოვანია სპორტსმენის ხასიათი, მისი მობილიზების უნარი, ნერვების მოთოკვა და სიმშვიდე. სპორტსმენი თუ სროლისას ნერვიულობას იწყებს, ყველაფერი წყალში ეყრება, რაც ჩვენს მროლელებს არც თუ ისე იშვიათად მოსდით. ამასთან, თამილა ასათიანს სროლისას რაღაც გაუგებარი ემართება. როცა კომპიუტერზე ვაკვირდებით, ასათიანზე კარგად ხელი არავის უკავია. სულ ათიანში აქვს დამიზნებული, მაგრამ ბოლო წამს, სასხლეტზე ხელის გამოკვრისას, რაღაც ემართება...

მაგრამ ეს ყველაფერი მედლის ერთი მხარეა, მეორეზე კი სულ სხვა პრობლემაც ჩანს. ესაა, ვაზნების არქონა, რის გამოც სპორტული პისტოლეტით არავინ ვარჯიშობს.

— წინათ ჩვენთვის ვაზნებიც პრობლემა იყო და იარაღიც — აგრძელებს ვახტანგ სალუქვაძე — ახლა იარაღის პრობლემა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ამაში ძალზე დაგვეხმარა ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ლევან მხეიძე. ჩვენს ძველ ხუთ პნევმატურ პისტოლეტს კიდევ ხუთი ახალი დაემატა, ზოგიც თავად სპორტსმენებმა იყიდეს და ეს პრობლემა აღარ გვაწუხებს. აი ვაზნები კი არ გვაქვს. ერთადერთი ნინო სალუქვაძეა, ვისაც იარაღების და ვაზნების პრობლემა გადაწყვეტილი აქვს. სხვებისთვის უცხოეთში ვაზნები კი ვიყიდეთ, მაგრამ საქართველოში ვეღარ ჩამოვიტანეთ, რადგან საზღვარზე იარაღისა და ტყვია-წამლის გადატანა-გადმოტანა მუდამ პრობლემატურია. ახლა გვპირდებიან, რომ ვაზნების შემოტანის პრობლემას მოგვიგვარებენ, მაგრამ მათ შესაძენად უკვე სახსრები აღარ გვაქვს.

ერთი სიტყვით, ამ სახეობაში პრობლემები ჯერ კიდევ თავზესაყრელია, მათ შორის ხელმოკლეობაც.

ამიტომაც ნინო სალუქვაძე წლეულს მსოფლიოს თასების გათამაშებიდან მხოლოდ ორ ეტაპზე გამოვა — ბანგკოკსა და მიუნხენში. თუ ამ ერთ-ერთზე მაინც I ან II ადგილს დაიკავებს, წლის ბოლოს სუპერთასზეც მიიწვევენ, სხვები კი...

სხვებისთვის შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ჯერჯერობით სახსრები არ ჩანს. თუ გამოჩნდება, ბანგკოკსა და მიუნხენში თუ სხვა შეჯიბრებებზეც ალბათ უჩაძე და ასათიანიც გამოვლენ, მათ ნაცვლად კი ნინო სალუქვაძე ოლიმპიურ ლიცენზიას ველარ მოიპოვებს, როგორც ეს წინათ შეიძლებოდა...

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ჰოკეი

20 მარტი

**კოლუმბუსი 5:2 ჩიკაგო**

*1:1 3:0 1:1*

1:0 ბრულე (3), 1:1 ბურკი (13), 2:1 მოდინი (26), 3:1 მოდინი (31), 4:1 ვალსერი (39), 5:1 ტოლეფსენი (48), 5:2 შარპი (50)

**კალგარი 2:1 დეტროიტი**

*1:0 1:1 0:0*

1:0 ლენგკოუ (2), 1:1 დაციუკი (22), 2:1 პუსელიუსი (38)

**მონრეალი 1:0 ბოსტონი**

*0:0 1:0 0:0*

1:0 ლატანდრესი (39)

**ტორონტო 2:1 ნიუ ჯერსი**

*1:0 0:0 1:1*

1:0 ველვუდი (19), 2:0 ანტროპოვი (47), 2:1 ზეიდტაკი (47)

**ტამპა 4:3 აილენდერსი**

*1:0 1:3 1:0 1:0 (ოვერტაიმი)*

1:0 პერენი (10), 2:0 ლეკავალიე (22), 2:1 ზედნიკი (23), 2:2 პაკი (31), 2:3 შატანი (38), 3:3 უორდი (45), 4:3 კუბა (61)

**ფილადელფია 1:4 ფლორიდა**

*0:0 1:2 0:2*

0:1 ბუტი (23), 1:1 აფანასენკოვი (34), 1:2 იოკინენი (39), 1:3 ჰორტონი (47), 1:4 კოლნიკი (59)

**სენტ ლუისი 2:4 ოტავა**

*1:0 1:2 0:2*

1:0 ჯეკმანი (12), 1:1 ნილი (27), 1:2 ფიშერი (33), 2:2 ბოისი (37), 2:3 ვერმეტი (45), 2:4 კელი (60)

**მინესოტა 3:2 ფინიქსი**

*1:0 2:0 0:2*

1:0 დემიტრა (20), 2:0 ვაიტი (40), 3:0 გაბორიკი (40), 3:1 კაპანენი (48), 3:2 ტომასი (51)

რეგულარული ჩემპიონატი

# ჭამი ქვეზის შეგროვებისა




„მონრეალის" ახალბედა მეკარემ იაროსლავ ჰალაკმა პირველი მშრალი მატჩი ჩაატარა

**წლეულს** ისე გამოვიდა, რომ საპლეიოფო ადგილებისთვის რეალური ბრძოლა მხოლოდ აღმოსავლეთ კონფერენციაში მიმდინარეობს, სადაც სავარაუდოდ ბოლო ტურამდე ვითარება დაძაბული იქნება.

ჯერჯერობით არსებული რვა ადგილიდან, რეალურად მხოლოდ ხუთია დაკავებული — „ბუფალომ", „ნიუ ჯერსიმ", „ატლანტამ", „პიტსბურგმა" და „ოტავამ" ფაქტობრივად გაინაღდეს პლეი ოფში მოხვედრა. დარჩენილ სამ ადგილზე კი ერთბაშად ექვსი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ აქ შეგნებულად არ ვსაუბრობთ „ფლორიდასა" და "ბოსტონზე", რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ შანსები, მაგრამ სხვებთან შედარებით მეტით — 5 და 7 ქულით ჩამორჩებიან მერვე ადგილზე მყოფს.

მერვე, ანუ პლეი ოფში მომხვედრ ბოლო ადგილზე კი ჯერჯერობით მოქმედი ჩემპიონი „კაროლინაა", რომელმაც სეზონის საზიზღრად დაწყების შემდეგ სათუოდ გაიხადა სტენლის თასისთვის მებრძოლთა შორის მოხვედრა. „ქარიშხლებს" 80 ქულა აქვთ. მათზე ერთი საფეხურით წინ „რეინჯერსია" — ნიუიორკელებს ამ დროისთვის 81 ქულა მოუგროვდათ. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია „ტამპა", რომელსაც 84 ქულა აქვს და მეტ-ნაკლებად უსაფრთხოდ გრძნობს თავს, თუმც ბოლო ხანებში კრიზისი დაეტყო და ამ „ორმოდან" მალე თუ არ ამოძვრა, შეიძლება, საუკეთესო რვის გარეთ აღმოჩნდეს.

საპლეიოფო ზონის გარეთ ჯერჯერობით იმყოფებიან — „ტორონტო", „მონრეალი" და „აილენდერსი". ამათგან კანადურ გუნდებს, „კაროლინას" დარად, 80-80 ქულა აქვთ და ჩემპიონები მათ მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით სჯობიან. „აილენდერსს" კი დღეისთვის 79 ქულა დაუგროვდა, ოღონდ სხვებზე ნაკლები მატჩი აქვს ნათამაშები და დაკარგული ქულების მიხედვით სწორედ ლონგ-აილენდის ბინადრები ხვდებიან საუკეთესო რვას შორის.

მოკლედ, უკიდურესად დაძაბული მდგომარეობაა და სიტუაცია ყოველ ტურში იცვლება — შეიძლება ითქვას, რომ ეს ექვსი გუნდი უკვე პლეი-ოფის რეჟიმში თამაშობს.

დასავლეთში კი სამიოდე კვირის წინ თითქოს რვავე იღბლიანის სახელი იყო ცნობილი, მაგრამ ბოლო პერიოდში ძალიან მოუმატა „კოლორადომ", რომელიც საკმაოდ მიუახლოვდა მერვე პოზიციაზე მყოფ „კალგარის" და მასთან მხოლოდ ოთხ ქულაღას აგებს. მათ შორის ყველაფერი ალბათ ზედ რეგულარული ჩემპიონატის მიწურულს, აპრილის პირველ ნახევარში გაირკვევა, როცა ორჯერ მოუწევთ ერთმანეთთან დაპირისპირება.

**კახა ლომაშვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში
### მელბურნი. ავსტრალია. 17 მარტი - 1 აპრილი

# შემომეყარა მედუზა...

**მელბურნის** მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების ყულაბაში ცვივა და ცვივა ოქროს მედლები. ცხადია, თავისით არ ცვივა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები დიდ ოფლს ღვრიან მათ მოსაპოვებლად. მათ უკვე ექვსი უმაღლესი სინჯის მედალი აქვთ და ჯერჯერობით დამაჯერებლად ლიდერობენ.

ესეც სათქმელია, რომ ამ ექვსი მედლიდან 5 სწორედ ქალების ანგარიშზე მოდიოდა და მეექვსე მოიგო კაცმა. ღია წყალში 10-კილომეტრიან ცურვაში 25 წლის ვლადიმერ დიატჩინმა პირდაპირ გიჟური ბრძოლა გაუმართა მოქმედ ჩემპიონს და მელბურნშივე 5 კილომეტრის მომგებ გერმანელ ტომას ლურცს. ამხელა მანძილზე ცურვა სპრინტით დასრულდა და რუსმა გერმანელს 0,06 წამით (!) აჯობა. წინა დღით იყო, მაგრამ მაინც ვთქვათ — ქალთა 5 და 10 კილომეტრზე გაცურვები რუსმა ლარისა ილჩენკომ მოიგო. ჩემპიონი მეორე დღეს ჩიოდა, „გზაში“ მედუზები შემომხვდნენ და მაგრადაც დამშაშხესო — „მედუზები პირდაპირ თავს დამესხნენ და ძალიან დამსუსხეს, მაგრამ ვუძლებდი. პირიქით, მეტად მომინდა გამარჯვება და მიზანსაც მივაღწიე.“

ილჩენკოს მთავარი მდევარი და საბოლოოდ ვერცხლის მომპოვებელი კანადელი კასანდრა პატენი რუსზე მეტად ჩიოდა — „ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა იფიქრო მოგებაზე? მიცურავ და ელოდები, როდის დაგჩხვლეტენ ეს ოხრები. მე სახეზეც დამსუსხეს და ფეხებზეც. ზოგიერთმა კი კომბინიზონშიც კი გაატანა. კიდევ კარგი, იმ მედუზებმა ზვიგენებიც თან არ მოიყვანეს.“

თავისი წილი ოქროები მოიპოვა ჩინეთის წყალში მხტომელთა მრავალნიჭიერმა გუნდმა. ნურც ვერცხლს დავუკარგავთ — 1-მეტრიან კაცთა ტრამლინისა და 10-მეტრიან ქალთა კოშკის კვარცხლბეკზე პირველ-მეორე საფეხურებზე სწორედ ჩინელები შედგნენ და დანარჩენ მსოფლიოს ბრინჯაოებიღა დაუტოვეს.

დღეს კაცთა 3-მეტრიან ტრამპლინსაც ალბათ რომელიმე ჩინელი მოიგებს. სხვათა შორის, ამ სახეობაში გამოდის ჩვენებური გიორგი გევორქიანიც. 18 წლის გევორქიანი მელბურნში უკვე მეორე დისციპლინაში ცდის ბედს. რამდენიმე დღის წინ მან და ჭოლა ჭანტურიამ 3-მეტრიან სინქრონულ ტრამპლინზე 17 მონაწილეს შორის მე-16 ადგილი დაიკავეს.

ორიოდ დღეში ტურნირის მთავარ პროგრამას მოცურავეები გახსნიან. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ მსოფლიოს რეკორდების ნუსხას, რომელიც იმედია, მელბურნში გვარიანად განახლდება.



### წყალში ხტომა

**კაცთა მეტრიანი ტრამპლინი**

1. იუტონ ლუო (ჩინეთი) 477,40; 2. ჩონ ჰე (ჩინეთი) 469,45; 3. კრისტოფერ საჩინი (იტალია) 441,40

**ქალთა 10 მ. კოშკი**

1. ქსიან ვანი (ჩინეთი) 432,85; 2. როულინ ჩენი (ჩინეთი) 410,30; 3. კრისტინ სეუერი (გერმანია) 386,85

### სინქრონული ცურვა

**გუნდური ტექნიკური**

1. რუსეთი 99,000; 2. იაპონია 97,833; 3. ესპანეთი 97,167

### ღია წყალში ცურვა

**10 კმ. კაცები**

1. ვლადიმირ დიატჩინი (რუსეთი) 1:55.32,52; 2. ტომას ლურცი (გერმანია) 1:55.32,58; 3. ევგენი დრაცევი (რუსეთი), 1:55.47,3

## მსოფლიოს რეკორდები 50-მეტრიანი აუზებისთვის

### კაცები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **თავისუფალი** | | | | |
| 50 მ | ალექსანდრ პოპოვი (რუსეთი) | 21,64 | 16.06.2000 | მოსკოვი |
| 100 მ | პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი (ჰოლანდია) | 47,84 | 19.09.200 | სიდნეი |
| 200 მ | იან ტორპი (ავსტრალია) | 1.44,06 | 25.07.2001 | ფუკუოკა |
| 400 მ | იან ტორპი (ავსტრალია) | 3.40,08 | 30.07.2001 | მანჩესტერი |
| 800 მ | გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) | 7.38,65 | 27.07.2005 | მონრეალი |
| 1500 მ | გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) | 14.34,56 | 29.07.2001 | ფუკუოკა |
| **გულაღმა ცურვა** | | | | |
| 50 მ | ტომას რუპრეტი (გერმანია) | 24,80 | 27.07.2003 | ბარსელონა |
| 100 მ | აარონ პირსოლი (აშშ) | 53,17 | 02.04.2005 | ინდიანაპოლისი |
| 200 მ | აარონ პირსოლი (აშშ) | 1.54,66 | 29.07.2005 | მონრეალი |
| **ბრასი** | | | | |
| 50 მ | ოლეგ ლისოგორი (უკრაინა) | 27,18 | 02.08.2002 | ბერლინი |
| 100 მ | ბრენდან ჰანსენი (აშშ) | 59,13 | 02.08.2006 | ბერლინი |
| 200 მ | ბრენდან ჰანსენი (აშშ) | 2.09,04 | 11.07.2004 | ლონგ ბიჩი |
| **ბატერფლაი** | | | | |
| 50 მ | როლანდ შუმანი (სამხრეთ აფრიკა) | 22,96 | 25.07.2005 | მონრეალი |
| 100 მ | იან კროკერი (აშშ) | 50,40 | 30.07.2005 | მონრეალი |
| 200 მ | მაიკლ ფელპსი (აშშ) | 1.53,71 | 18.02.2007 | მისური |
| **კომბინირებული ცურვა** | | | | |
| 200 მ | მაიკლ ფელპსი (აშშ) | 1.55,94 | 09.08.2003 | კოლეჯ პარკი |
| 400 მ | მაიკლ ფელპსი (აშშ) | 4.08,26 | 14.08.2004 | ათენი |
| **ესტაფეტები** | | | | |
| 4+100 მ თავ. | სამხრეთ აფრიკა | 3.13,17 | 15.08.2004 | ათენი |
| 4+200 მ თავ. | ავსტრალია | 7.04,66 | 27.07.2001 | ფუკუოკა |
| 4+100 მ კომბ. | აშშ | 3.30,68 | 21.08.2004 | ათენი |

### ქალები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **თავისუფალი** | | | | |
| 50 მ | ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) | 24,13 | 22.09.2000 | სიდნეი |
| 100 მ | ბრიტა შტეფენი (გერმანია) | 53,30 | 02.08.2006 | ბუდაპეშტი |
| 200 მ | ფრანცისკა ვან ალმსიკი (გერმანია) | 1.56,64 | 03.08.2002 | ბერლინი |
| 400 მ | ლორე მანადუ (საფრანგეთი) | 4.02,13 | 06.08.2006 | ბუდაპეშტი |
| 800 მ | ჯანეტ ევანსი (აშშ) | 8.16,22 | 20.08.1989 | ტოკიო |
| 1500 მ | ჯანეტ ევანსი (აშშ) | 15.52,10 | 26.03.1988 | ორლანდო |
| **გულაღმა ცურვა** | | | | |
| 50 მ | იანინ პეტში (გერმანია) | 28,19 | 25.05.2005 | ბერლინი |
| 100 მ | ნატალი კუგლინი (აშშ) | 59,58 | 13.08.2002 | ფორტლოდერდეილი |
| 200 მ | კრისტინა ეგერშეგი (უნგრეთი) | 2.06,62 | 25.08.1991 | ათენი |
| **ბრასი** | | | | |
| 50 მ | ჯეიდ ედმისტონი (ავსტრალია) | 30,31 | 30.01.2006 | მელბურნი |
| 100 მ | ლაიზელ ჯონსი (ავსტრალია) | 1.05,09 | 20.03.2006 | მელბურნი |
| 200 მ | ლაიზელ ჯონსი (ავსტრალია) | 2.20,54 | 01.02.2006 | მელბურნი |
| **ბატერფლაი** | | | | |
| 50 მ | ანა კარინ კემერლინგი (შვედეთი) | 25,57 | 30.07.2002 | ბერლინი |
| 100 მ | ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) | 56,61 | 17.09.2000 | სიდნეი |
| 200 მ | ოტილია იედრჟეშჩაკი (პოლონეთი) | 2.05,61 | 28.07.2005 | მონრეალი |
| **კომბინირებული ცურვა** | | | | |
| 200 მ | იან იან ვუ (ჩინეთი) | 2.09,72 | 17.10.1997 | შანხაი |
| 400 მ | იანა კლოჩკოვა (უკრაინა) | 4.33,59 | 16.09.2000 | სიდნეი |
| **ესტაფეტები** | | | | |
| 4+100 მ თავ. | ავსტრალია | 3.35,94 | 14.08.2004 | ათენი |
| 4+200 მ თავ. | გერმანია | 7.50,82 | 03.08.2006 | ბუდაპეშტი |
| 4+100 მ კომბ. | ავსტრალია | 3.56,30 | 21.03,2006 | მელბურნი |





სიუ შენი და ხონ ბო ჟაო

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### ტოკიო. იაპონია. 19-25 მარტი

# ჩინური კედელი და გაქცევა რუსულად

**ტოკიოში** ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გახურდა და გუშინ პირველი ჩემპიონების ვინაობაც გაირკვა.

სპორტულ წყვილებში ჩინელების — სიუ შენისა და ხონ ბო ჟაოს დუეტი, უკვე მოკლე პროგრამის შემდეგ დაწინაურდა და მერე, თავისუფალი პროგრამის შემდეგ, მათი უპირატესობა კიდევ უფრო დიდი გახდა.

ჯამში, ჩინელებმა 203,5 ქულა მოაგროვეს და მეორე ადგილზე გასული თანამემამულენი, შარშანდელი ჩემპიონები ცინ პენი და ძიან ტონი მთელი 15 ქულით ჩამოიტოვეს.

პენი და ტონი მოკლე პროგრამის შემდეგ მესამენი იყვნენ და მცირედით აგებდნენ გერმანელ ევროპის ჩემპიონებთან ალიონა სავჩენკოსა და რობინ შოლკოვისთან, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც იძალეს და ევროპელებს ვერცხლი 1,07 ქულის უპირატესობით წაართვეს.

ამ ჯერზე უმედლოდ დარჩნენ რუსები, რომლებიც ამ სახეობაში, ლეგენდარული პროტოპოპოვა-ბელოუსოვის წყვილიდან მოყოლებული, მთელი 40 წელი ინარჩუნებდნენ ჰეგემონიას, მაგრამ ახლა სასტიკად შერცხვნენ.

მედლებს ვინ ჩივის, რუსებს 2000 წლის მსოფლიოს ჩემპიონების — მარია პეტროვასა და ალექსეი ტიხონოვის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ციგურაობისთვის უკვე ზედმეტად ვეტერანებმა — 29 წლის მარიამ და 35 წლის ალექსეიმ მოკლე პროგრამაში მხოლოდ მე-11 შედეგი აჩვენეს და ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვეს — არ გვინდა, დიდი სპორტიდან ასე, შერცხვენილები წავიდეთო.

### სპორტული წყვილები

| | | |
|---|---|---|
| 1. | სიუ შენი, ხონ ბო ჟაო (ჩინეთი) | 203,50 ქულა |
| 2. | ცინ პენი, ძიან ტონი (ჩინეთი) | 188,46 |
| 3. | ალიონა სავჩენკო, რობინ შოლკოვი (გერმანია) | 187,39 |

# კლოდენის ოდენ ოთხი წამი

## ასტანური დილემა: ყაზახი თუ გერმანელი?



ყაზახური „ასტანას" გერმანელი მრბოლის ანდრეას კლოდენის გამარჯვებით დასრულდა „პრო-ტურის" სერიის ერთკვირიანი რბოლა „ტირანო ადრიატიკო".

კლოდენმა, ვინც „ასტანაში" გერმანული „T-მობაილიდან" შარშანდელი სეზონის დასრულების შემდეგ გადავიდა, შეიდეტაპა იტალიური ველოტურის გზა 28 საათში, 31 წუთსა და 26 წამში გალია, სულ რაღაც 4 წამით აჯობა „T-მობაილში" თავის ყოფილ თანაგუნდელს, ლუქსემბურგელ კიმ კირხენს და 13 წამით ამჟამინდელ თანაგუნდელს, ყაზახ ალექსანდრ ვინოკუროვს.

კლოდენი ველოსპორტის სამყაროში ცნობილი სახეა. 2000 წელს მან „პარიზი-ნიცა" მოიგო, ხოლო ბოლო ორ სეზონში პოდიუმზე დასრულა უპრესტიჟულესი „ტურ დე ფრანსი" — შარშანწინ მეორე იყო, ხოლო შანშან მესამე. და აი, უკვე ახალი გუნდის სახელით, გერმანელმა პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვა.

საერთოდ კი, მას შემდეგ, რაც კლოდენი „ასტანაში" გადავიდა, გაჩნდა კითხვა, თუ ვინ იქნებოდა ამ ყაზახური გუნდის ლიდერი — შარშანდელი „ვუელტას" ტრიუმფატორი ვინოკუროვი, თუ ახალი გერმანელი. ეს საკითხი, მიუხედავად კლოდენის იტალიური წარმატებისა, ჯერაც ღიაა, ალბათ, „ტურ დე ფრანსამდე" ასეც დარჩება და უშუალოდ ფრანგული სუპრბოლისას გამოჩნდება, თუ ვისზე გააკეთებენ აქცენტს „ასტანას" შეფები.

რაც შეეხება „ტირანო ადრეატიკოს" ბოლო ეტაპებს, მეხუთე „გეროლშტაინერის" გერმანელმა შტეფან შუმახერმა მოიგო, მეექვსე — „ლამპრეს" იტალიელმა მატეო ბონომ, ხოლო დასკვნით ეტაპზე „ეუსკალტელის" ესპანელი კოლდო ფერნანდესი იყო საუკეთესო.

„პრო-ტურის" სერიის მორიგი რბოლა, „პრიმავერად" წოდებული ლეგენდარული ერთდღიანი კლასიკური „მილანი — სან რემო" ამ შაბათს, 24 მარტს გაიმართება.

# პირველი თამადა კონტადორია

ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) „პრო-ტურის" სერიის პირველი საამსეზონო რბოლების — „პრიზი-ნიცასა" და „ტირანო ადრიატიკოს" დასრულების შემდეგ წლეულს პირველი კლასიფიკაციები გამოაქვეყნა.





მრბოლთა რეიტინგს სათავეში „პარიზი-ნიცას" მომგები ესპანელი, ამერიკული „დისქავერი ჩენელის" წევრი ალბერტო კონტადორი უდგას, რომელიც სამი ქულით უსწრებს „ტირანო ადრიატიკოს" გერმანელ ტრიუმფატორ ანდრეას კლოდენს.

ნახსენებ ფრანგულ და იტალიურ ველოტურებში გამარჯვება ერთნაირად კი ფასობს, მაგრამ კონტადორმა „პარიზი-ნიცას" გზებზე ეტაპის მოგებაც მოახერხა, რაც კლოდენმა ადრიატიკის სანაპიროზე ვერ შეძლო და ესპანელი კლასიფიკაციაში სწორედ ამის წყალობით დაწინაურდა.

გუნდებს შორის წინ ესპანური „კაისე დეპარგნე", ანუ ძველი სახელით რო ვთქვათ, „ილეს ბალეარსია" და მცირედით უსწრებს დანიურ CSC-სა და „დისქავერის". თუმცაღა, უკვე ამ შაბათს, როდესაც „პრო-ტურის" სერიის პირველი ერთდღიანი რბოლა „მილანი-სნ რემო" ჩატარდება, კლასიფიკაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება.

**მრბოლები** 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი) 56 ქულა; 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია) 53; 3. დავიდე რებელინი (იტალია) 42; 4. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი) 41. 5-6. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი) და ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი) 38-38; 7. შტეფან შუმახერი (გერმანია) 35; 8. ტადეი ვალჟავეცი (სლოვენია) 30; 9. ფრანკო პელიცოტი (იტალია) 28; 10. დავიდ ლოპეს გარსია (ესპანეთი) 23

**გუნდები** 1. კაისე დეპარგნე (ესპანეთი) 38 ქულა; 2. CSC (დანია) 36; 3. დისქავერი (აშშ) 33; 4. ლიქუიგასი (იტალია) 28; 5. ასტანა (ყაზახეთი) 26; 6. სონი დიუვალი (ესპანეთი) 24; 7. ლოტო (ბელგია) 22; 8. AG2R (საფრანგეთი) 22; 9. T-მობაილი (გერმანია) 20; 10. კოფიდისი (საფრანგეთი) 17



## ამბერის ტურნირი

მონტე კარლო. მონაკო. 17-29 მარტი

IV ტური

| | | |
|---|---|---|
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 0:1 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0, 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 1:0 0:1 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 0:1, 0:1 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0, 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5, 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |

პირველად მოცემულია დაფაზე დაუხედავი პარტიების შედეგები

# მეფე-დედოფლის გამბიტი

## ასრულებენ კრამნიკი და ანანდი

მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა ტურნირის პირველ ნომერ ვიშვანათან ანანდს 1,5 ქულა აართვა და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.



ვლადიმირ კრამნიკი

პირველად მეტოქეებმა დაფაზე დაუხედავი პარტია ითამაშეს. კრამნიკმა შეხვედრა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, წინ მხედრები გამოაჭენა და მეფის დაცვა გააძლიერა. რუსმა ხელმწიფის ფლანგიდან განავითარა იერიში, ინდუსს რამდენიმე ფიგურა გაუცვალა და უპირატესობას დაეუფლა. დასუსტებულ შავებს კრამნიკმა ყველა მხრიდან შეუტია, მეომრები დაუხოცა და 30-ე სვლაზე დაამარცხა.

სწრაფი პარტია უფრო დაძაბული გამოდგა. მოჭადრაკეებმა დებიუტში ხელმწიფის გამბიტი გაითამაშეს. ანანდმა აქტიურად დაიწყო შეხვედრა, მძიმე ძალა მარჯვენა მხარეს გადასხა და საომრად მოემზადა.

მე-18 სვლაზე რუსმა მხედარი გაუცვალა ინდუსს და თამაშიც გაიხსნა. ამის შემდეგ მოჭადრაკეებმა დაფაზე სისხლის ზღვა დააყენეს, თუმც ერთმანეთს ვერ აჯობეს და 56-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

**ლაშა გეგეჭკორი**

### სატურნირო ვითარება

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვლადიმირ კრამნიკი | 6,5 |
| 2. | ლევონ არონიანი | 6,0 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი | 5,5 |
| 4. | პიოტრ სვიდლერი | 5,0 |
| 5. | ვიშვანათან ანანდი | 4,0 |
| 6. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 4,0 |
| 7. | ბორის გელფანდი | 4,0 |
| 8. | პეტერ ლეკო | 4,0 |
| 9. | მაგნუს კარლსენი | 3,0 |
| 10. | ფრანსისკო ვალეხო | 2 |
| 11. | თეიმურ რაჯაბოვი | 2 |
| 12. | ლუკ ვან ველი | 2 |



# სიკვდილის საგამ თამაში დაჩრდილა

ისევ არასაკრიკეტო ამბებით მოგვიწევს დაწყება — ჩემპიონატის მთავარ სალაპარაკო თემად კვლავ პაკისტანელთა დამრიგებელ ბობ ვულმერის გარდაცვალება რჩება. როცა ყველა ლამის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეს მართლაც უბედური შემთხვევა იყო, სწორედ მაშინ, იამაიკის დედაქალაქ კინგსტონის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, გაკვეთის შემდეგ მისი სიკვდილი საეჭვოდ ცნეს, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მეტს არაფერს ამბობენ. მოკლედ, ეს ამბავი ხელახლა აპირებს აზვირთებას.



AFP

გუშინ კი ორ ჯგუფში გაიმართა თამაშები. A-ში ავსტრალიის შემდეგ მოწინავე რვეულში ადგილი სამხრეთ აფრიკამ გაინაღდა, რომელმაც ეს შოტლანდიის დამარცხებით გაახერხა. აფრიკელები და ოზები ახლა მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობას გაარკვევენ.

B ჯგუფში პირველი ადგილი ახალ ზელანდიას დარჩა, რომელმაც კენია წააქცია. ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩემპიონატზე დარჩენის შანსი მოესპო კანადას, ინგლისი და კენია კი ბოლო ტურში ერთმანეთში გაარკვევენ ჯგუფიდან გასული მეორე ნაკრების ვინაობას.

**კახა ლომაყმილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკლიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge